# საერთო გაზეთი

№9 (559) • 18 მარტი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## ბიძინა ივანიშვილს გაუფრთხილდით და იმის იმედი ნუ გექნებათ, ეს რომ წავა, ერთ კვირაში მეორე ივანიშვილი მოვა და მილიარდებს დაგაყრით თავზე!





„ნაცმოძრაობამ“ ზუსტად იცის, რომ ვერც პროპორციული, ვერც მაჟორიტარული და ვერც შერეული სისტემით, ხელისუფლებაში ვერ მოვა. ამიტომ, ერთადერთი გზა რაც უკვე ნაცადი აქვთ და რითაც ძალაუფლებას დაეპატრონენ, ეს ქვეყნის გადატრიელების გზაა



## ხალხნო, ნუ გაშინებთ წარღვნით და მეორედ მოსვლით – ხვალ სიმინდი და ლობიო მაქვს მოსარწყავი

## მამა ბასილი: მთელმა სამყარომ, რომ დაიწყოს ერთჯერადი კოვზებით ზიარება, მე და ჩემი მრევლი მართლმადიდებლური წესით მსახურებას მაინც არ შევწყვეტთ!



## ანატორის ტრაგედია







## „გვირგვინოსანი“ ვირუსი და სამი მუშკეტერი საქართველოდან

## გადაიდება თუ არა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები?

## კავკასიური ბერმუდის სამკუთხედი

## მოხუცებულების შესახებ

# რედაქტორის სვეტი



დღეს მთელი მსოფლიო კორონა ვირუსზე ლაპარაკობს, მაგრამ ერთ საოცარ გარემოებაზე არავინ ამახვილებს ყურადღებას — კორონავირუსმა ზარბაზნების, ტანკების, რაკეტების, რევოლუციებისა და ომების გარეშე, დროის მცირე მონაკვეთში, ერთბაშად შეცვალა მსოფლიო და ადამიანებს, სახელმწიფოებს ცხოვრების და ურთიერთობის სრულიად ახალი წესები შესთავაზა, წესები, რომლებიც საუკუნეებით გვაბრუნებს უკან და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ თუ გვინდა გადავრჩეთ, ყველა ჩვენს „გამოქვაბულებში“ უნდა დავეტიოთ.

კორონა ვირუსმა სერიოზული დარტყმა მიაყენა გლობალისტურ და ნეოლიბერალურ იდეებს და მათი უტოპიური, ქიმერული ბუნება ბოლომდე გააშიშვლა.

კორონა ვირუსი თითქოს ღმერთის სასჯელია, რომლითაც სამყაროში მის მიერ დადგენილი წესრიგის უარმყოფელებს თავისი ადგილი მიუჩინა.

რაც არ უნდა დიდი ფული დააგროვო, რაც არ უნდა დიდი ძალაუფლება გქონდეს, რაც არ უნდა ძლიერ სამხედრო პოტენციალს ფლობდე, დედამიწას ადამიანთა ჯგუფები თავიანთი ეკონომიკური თუ პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად მაინც ვერ მართავენ.

დედამიწა ღმერთის „ადმინისტრაციიდან“ იმართება და არა ვაშინგტონიდან, არა მოსკოვიდან, არა ბრიუსელიდან. ის არ იმართება არც ტრანსნაციონალური კომპანიების, არც მსოფლიო ბანკის, არც სავალუტო ფონდის სათაო ოფისებიდან. როგორც ვთქვით, ის იმართება მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის „ადმინისტრაციიდან“.

მთავარი ის არის, რა გადაწყვეტილებები მიიღება იქ, დანარჩენი სხვა ყველაფერი ავადმყოფი ადამიანების ავადმყოფ ტვინებში დაბადებული უბადრუკი, უსუსური, უძლური მცდელობებია ღმერთს ჩაენაცვლონ და მთავარი „ადმინისტრაცია“ კოსმოსიდან დედამიწაზე გადმოიტანონ.

–მომავალი ეკუთვნის არა გლობალისტებს, არამედ პატრიოტებს! – თითქოს ენამ უყივლაო, კორონა ვირუსის გამოჩენამდე ცოტა ხნით ადრე თქვა ტრამპმა.

ჩვენ დევნილი ქრისტიანების გვერდით ვდგავართო, — ბრძანა ინგლისის პრემიერმა ჯონსონმა.

ჯონსონი დევნილი ქრისტიანების გვერდით დგას, ქართველთა ერთი ნაწილი სააკაშვილის, ბოკერიას, უგულავას, მერაბიშვილის და სხვა ფარისევლების და სატანისტების გვერდით.

არ ეკუთვნით მათ მომავალი, მომავალი ეკუთვნის პატრიოტებს — ბოლოს და ბოლოს უნდა გაიგონ ეს იმ ქართველებმა, რომლებსაც თითქოს გონება დაბინდვიათ და აზროვნების უნარი დაუკარგავთ.

ესეც კორონავირუსის ნამუშევარია, ოღონდ სხვა შტამის კორონა ვირუსის, რომელიც სასუნთქ გზებს კი არა, ტვინის უჯრედებს აზიანებს და ადამიანებს ადებილებს.

ღმერთმა კორონა ვირუსის სახით ყვითელი ბარათი უჩვენა კაცობრიობას და ეს ყვითელი ბარათი სანამ წითელი ბარათით არ შეუცვლია, კაცობრიობა გონს უნდა მოეგოს, მათ შორის ჩვენც, ქართველებიც, უნდა მოვეგოთ გონს და ამ განსაცდელიდან ჩვენი წილი დასკვნები გამოვიტანოთ.

ამ დასკვნებიდან უმთავრესი დასკვნა, ალბათ, ის არის, რომ „მთავარი მაინც სამშობლო არის, განსაცვიფრებლად არის მთავარი.“

# მადლობა





მიუხედავად იმ დამაკნინებელი ეპითეტებისა, რასაც შუბლისძარღვგაწყვეტილი ოპოზიცია „ქართული ოცნების“ მისამართით წამდაუწუმ იყენებს, „ქართულმა ოცნებამ“ დაამტკიცა, რომ ის კარგად ორგანიზებული, კარგად მობილიზებული ხელისუფლებაა, რომელსაც შეუძლია კრიზისულ სიტუაციებში იმოქმედოს სწრაფად, ოპერატიულად, ეფექტურად.

სწორედ ამის დამსახურებაა ის, რომ საქართველო, ქართული სახელმწიფო, მსოფლიოს სხვა, ჩვენზე გაცილებით მდიდარ და ძლიერ სახელმწიფოთა შორის, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სახელმწიფოა კორონავირუსთან ბრძოლის ურთულეს საქმეში.

ცხადია, ამის გამო, პირველ რიგში, მადლობა ეკუთვნით ჩვენს გმირ ექიმებს, ნამდვილ პატრიოტებს, ძალიან მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს, რომლებიც, როგორც ირკვევა, მსოფლიოს სამედიცინო ელიტაში თავის ღირსეულ ადგილს იკავებენ.

თუმცა ტრადიციულად საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი უნიჭიერესი ექიმებით.

საქართველო ტყუილად კი არ ითვლება მედეას და მედიცინის სამშობლოს.

უხსოვარი დროიდან ჩვენ უნიკალური ცოდნა და გამოცდილება გვაქვს ამ მიმართულებით, რასაც სახელმწიფოს მხრიდან კიდევ უფრო მეტი ხელშეწყობა და თანადგომა სჭირდება.

ექიმებთან ერთად დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ საქართველოს მთავრობას — პრემიერ-მინისტრს, მინისტრებს, მადლობა დეპარტამენტების, სამმართველოების ხელმძღვანელებს, მადლობა სხვადასხვა დარგის რიგით თანამშრომლებს, მადლობა ექთნებს, სანიტრებს, მძღოლებს, პოლიციელებს, 112-ის თანამშრომლებს, ყველას, ყველას, ვისაც თავისი, თუნდაც მცირე და მოკრძალებული წვლილი შეაქვს იმ დიდ განსაცდელთან ბრძოლაში, რასაც კორონავირუსთან ბრძოლა ჰქვია.

დაბოლოს: **განსაკუთრებული მადლობა ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომელიც, როგორც ყოველთვის, ახლაც უყოყმანოდ დადგა ქართველი ხალხის გვერდით და საჭიროების შემთხვევაში, ყველანაირი სახის დახმარება თავის თავზე აიღო.**

ბედნიერებაა, როცა ქვეყანას ასეთი ქომაგი და გულშემატკივარი ჰყავს.

ბედნიერებაა, როცა იცი, როცა დარწმუნებული ხარ, რომ გაჭირვებაში არ მიგატოვებენ.

ისიც ბედნიერებაა, როცა ერთად შეკრულ ერს ხედავ, როცა ყველა სტრუქტურა გამართულად მუშაობს და რწმუნდები, რომ საიმედო სახელმწიფოში ცხოვრობ.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას.

**„საერთო გაზეთი“**





„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# მუხრან მაჭავარიანი – ლექსები



## შენ სისხლო ჩემო..

შენ —
სისხლო ჩემო —
სად არ დაღვრილო...
შენ –
სად არ გხვრეპდა შავი ყორანი...
ვინ გაგაკვირვოს,
რამ გაგაკვირვოს, —
ნადიდგორალი,
ნაშამქორალი.
შენ —
სისხლო ჩემო —
შენი ღვაწლია,
რამაც აქამდეც კი მოაღწია:
სვეტიცხოველი...
ხანძთა...
ვარძია
და ისიც, —
რაც მტერს წარუტაცნია.
შენ —
სისხლო ჩემო —
შენი დინება
ვეფხისტყაოსნით ხშირად მიგრძვნია...
სიტყვა,
რომელიც გეჩოთირება —
ვცდილობ-გაშორო, —
რაც შემიძლია.
შენ —
სისხლო ჩემო—
სისხლო ხნიერო,
დაუცხრომელო და უცნაურო...
საბედნიეროდ,
საბედნიეროდ, —
ჰაი, ჰაი, რომ
კიდევ ხმაურობ.

## „ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა“

ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა!
მრავალს უწია ცოდვამ:
ვინ რა ყოფილა – გამოჩდა!

კაცი აღმოჩდა ცოტა!
ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა!
ცოდვის კითხვაა.... ჰოდა!
ყველა ისეთი აღმოჩდა,
რა წარმოდგენაც მქონდა!

ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა!
მივხვდით, ბრძანდება ვინ ვინ!...
ღმერთი! – თვით ღმერთი გაოცდა!
ამდენი დ ა მ პ ლ ი ს ხილვით!

## ანდუყაფარო ..

ანდუყაფარო,
ლიპარიტო, -
დარნო მთათანო,
ბაგრატოვანთა ბანოვანის ტანო-ტატანო,
ბიჭო სესეო,
თოთიკაანთ ქალო მელანო,
ვაჟას არწივო,
შოთას ვეფხვო,
ტატოს მერანო;

ბზიფო,
ენგურო,
ალაზანო,
მტკვარო,
იორო,
აგერ, ახლახან გარდაცვლილო გალაკტიონო;
ქინძმარაულო,
ტიბაანო, -
ღვინოვ კახურო;
გამოსროლილო ხევსურეთით ლექსო ხალხურო,
დიდო კოლხეთო,
დიდო ქართლო,
დიდო შამქორო, -
ვერ დამადუმონ,
ვერ დამძალონ -
თუნდა ჩამქოლონ......
ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიტყვას გაბედულს -
ფრთები მასხია
თქვენგნით...
მხოლოდ თქვენგნით
რამეთუ.

## გოდება ცოტნესი (უკვე ღრმად მოხუცისა)

ეს რაო გვიყავ?! –
ე ვის ხელში ჩაგვყარე ზენავ?! –
გვრიტ არს ამათთან შედარებით თვით ყრუ მურვანი!
კაცი დავბერდი,
მე ამათი გავიგე ვერრა;
ჩვენი ამ რეგვენთ
არამარტო არ მოსწონთ ენა,
ასე განსაჯე,
გვიწუნებენ ზოგჯერ პურ – მარილს.
თავი თვითეულს ისე ყინჩად უჭირავს ჩვენში, –
თითქოს ის ჩვენთან კი არ იყოს,
ჩვენ ვიყოთ მასთან...
ასი წელია სულსა ღაფავს ქართლი მათ ხელში

და კიდევ ასე,
ღმერთმა იცის, – რამდენხანს გასტანს.

კი, მაგრამ, ღმერთი აღარაა?! –
სადაა?! – თუა?! –
ასე აბუჩად შეიძლება აგდება ერის?!
ბედი ქართლისა გადაწყვიტა ვინც ორწყალშუა,
ჩვენი უმტრესი ის გამოდგა დაბოლოს მტერი.
რაც მოვითმინეთ, მოთმინებად, მე მგონი, კმარა! –
დროა მივბაძოთ გმირთა ძველთა, –
კაცთა უწინდელთ!
ცოტნეს თავისი წელზე ერტყას დადიანს ხმალი
და საქართველოს, მამულს მისას, ასე უჭირდეს?!

კი, მაგრამ, ღმერთი აღარაა?! –
არადა როა!?
ვაი დედასა! – რა უბრალოდ წავაგეთ ჭკუა!
ვის შევეყარეთ! –
ეს ვინცხაა, მურვანზე ყრუა!
როგორც ვიყავით,
ვიმყოფებით კვლავ ორწყალშუა!

## ვაი ჩვენს პატრონს!

დავდივარ, როგორც დადიოდა ჩემამდე ბევრი,
ჩემს თავზეც ბრუნავს ხან დოლაბი, ხან კიდევ კევრი.

ვხედავ – რეგვენი ლაპარაკობს ამაყად, მძიმედ,
და. მე შენ გეტყვი – უბატონოდ ხმას გასცემს ვინმე.

კაცი თუ ქალი, ეჯიბრება იმაში ურთერთს:
სიტყვის და საქმის დაცილებას ვინ შესძლებს უკეთ.

გზადაგზა მხვდება კმაყოფილი სიფათი რეგვნის,
ფოთლებს უწვდიან ლამაზმანებს ამაოდ ლეღვნი.

დროდადრო მესმის უხერხული ხალხური ლექსი: –
ვჭამოთო კარგად, არაფერი შეგვრჩება მეტი.

ვაი, ჩვენს პატრონს. ჩვენი ყოფის თავი და ბოლო, –
ჭამა და საჭმლის მონელება თუ არის მხოლოდ!

დავდივარ, როგორც დადიოდა ჩემამდე ბევრი,
ჩემს თავზეც ბრუნავს ხან დოლაბი, ხან კიდევ კევრი.

## ახლაც დაყრილი (როგორც მაშინ) არის ფარ-ხმალი

ზღვრები როდესაც მორღვეული ჰქონდა ფანატიზმს,
იკლებდა ქალაქს მეწამული როცა პარადი,
ამაზრზენს ხდიდა ქუჩას როცა რეგვენთ ქიჩმაჩი, —
ძაღლის ღიმილით ტრიბუნაზე იდგა ის მაშინ.
ხდება რაიმე, არ გეგონოს ახლა ახალი! —
ახლაც დაყრილი (როგორც მაშინ) არის ფარ-ხმალი.

## მითხარი, ცაო..

მითხარი, ცაო, მითხარ, ზღვაო, მითხარით, ძმებო;
მითხარ, არწივო, მითხარ, მუხავ, მითხარი, შურთხო:
რაა საჭირო, — რა გზა უნდა გამოიძებნოს,
რომ საქართველომ თავისუფლად ამოისუნთქოს!

მის გულში გადის სამყაროსი უდრეკი ღერძი.
ის არასოდეს არ იკადრებს, რაც არ ეგების.
მას ალაზანი სახრესავით უჭირავს ხელში
და კავკასიონს აქლემივით მიერეკების.

## მიწავ ჩემო

შენი, მიწავ ჩემო,
ვინც კი იცის გემო;
როგორ დავიჯერო, -
თავს არ შემოგევლოს!

იმერეთო ქვემო,
იმერეთო ზემო, -
სიყვაროლო ჩემო,
სიხარულო ჩემო...

ძამა გურულებო,
ჯიმა სამეგრელო,
ძმაო ქართლ - კახეთო,
მესხეთ - ჯავახეთო;

მარნის ჩვენის ეშხი
მტერსაც ჩავახეთქოთ,
ოღონდ ჩვენს საქმეში
ნაკლებ ჩავახედოთ.

დიდგორისა ველო, -
ახლა ცრემლისმგვრელო,
კრწანისისა ველო, -
დღესაც გულისმკვლელო...

რაღა გავაგრძელო,
მთელო საქართველო, -
სასოებავ ჩვენო, -
რა ვქნა, რა გიშველო!

შენი მიწავ ჩემო,
ვინც კი იცის გემო;
როგორ დავიჯერო, -
თავს არ შემოგევლოს!

## რომ არ ამეღო ხელში წიგნი..

რომ არ ამეღო ხელში წიგნი,თოხი მჭეროდა.
რომ არ გამედგა ფეხი ჩვენი კაკლის ჩეროდან.
რომ მეთოხნა და შემესარა მხოლოდ ვენახი.
დიდი ქალაქი რომ არ მენახა!
მეყოლებოდა ახლა ხარები.
შემოდგომაზე მთიდან შეშას ჩამოვიტანდი.
არ ვიქნებოდი აღარც ღარიბი,
აღარც მდიდარი.
ცოლი ყოველდღე თიხის კეცებს გაახურებდა,
ცივ სოხანეზე გადმოდგამდა ლობიოს ქოთნით.
მეყვარებოდა როგორც მიყვარს მინდვრიდ ყურება -
აიზლაზნება მინდვრებიდან როდესაც ორთქლი.
პარასკეობით სახხერეში გავყიდდი სიმინდს,
მეუღლეს ჩემსას ჩითის კაბას ვუყიდდი იმით.
სოფლის სკოლაში ორი ბავშვი -
ჩემიც ივლიდა;
ბიჭს ალბათ ვანო ერქმეოდა,
გოგოს – ივლიტა, -
რომ არ ამეღო ხელში წიგნი, თოხი მჭეროდა.
რომ არ გამედგა ფეხი ჩვენი კაკლის ჩეროდან.

**12 აპრილი დიდი ქართველი პოეტის მუხრან მაჭავარიანის დაბადების დღეა**

# ბიძინა ივანიშვილს გაუფრთხილდით და იმის იმედი ნუ გექნებათ, ეს რომ წავა, ერთ კვირაში მეორე ივანიშვილი მოვა და მილიარდებს დაგაყრით თავზე!

*გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ-პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:*

**— ქალბატონო ნანა, ოპოზიციასა და პოზიციას შორის, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით დაწყებული მოლაპარაკებების რაუნდი, დასრულდა, შეთანხმება მიღწეულია. ორივე მხარე გახარებულია, მაგრამ ერთადერთი ვინც უკმაყოფილოა ეს არის ქართველი ხალხი, რომელსაც არ სურს ამ ფაშისტურ-კრიმინალისტური ძალის ხელისუფლებაში მობრუნება. რეალურად, რა ხდება?**

— რეალურად, ხდება ის, რომ ქვეყანაში ხელისუფლების ძალადობრივი მეთოდით შეცვლის საშიშროება არსებობს. სახეზეა შეთანხმება — 120/30-ზე, „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციის მოთხოვნის შემხვედრი ნაბიჯი გადადგა, თუმცა, ეს ისე მოხდა, რომ ხელისუფლების მხრიდან კარგად არ იქნა გააზრებული თუ რა საფრთხეების შემცველია პროპორციული არჩევნები ქვეყნისთვის და თუ გნებავთ, მთავრობის დაკომპლექტების კუთხითაც. ხომ ვხედავთ, ისრაელში ერთი წლის მანძილზე უკვე მეოთხე არჩევნები ტარდება სწორედ იმიტომ, რომ პროპორციული არჩევნები უზრუნველყოფს შემდეგს: ასე, შესაძლებელია, მთავრობის დაუკომპლექტებლობის შემთხვევაში, ქვეყანა, მუდმივად, არჩევნების რეჟიმში იყოს. ამ ყველაფერს ისრაელი უძლებს, მაგრამ საქართველოს ბიუჯეტი როგორ გაუძლებს და როგორ გადაიტანს ასეთი გაკოტრებული ქვეყანა ამ მდგომარეობას, ხელისუფლებას ამაზე უნდა დაფიქრდეს. ასე, რომ გასაანალიზებელია რამდენად სწორია ამ დათმობაზე წასვლა. ზოგადად, პროპორციულ სისტემაზე გადასვლა რამდენად სახელმწიფოებრივი ნაბიჯია, ეს კიდევ ცალკე თემაა. მიუხედავა ამ დათმობაზე წასვლისა, ნათლად ჩანს ოპოზიციის რეალური მიზანი: შეთანხმებიდან მალევე გაჟღერდა პრეტენზიები. კერძოდ, თუ პოლიტ.პატიმრებს (ანუ, თავიანთ კრიმინალებს) ციხიდან არ გამოუშვებთ, ამ ცვლილებებს მხარს არ დავუჭერთო. ფაქტი ერთია: ამ ადამიანებისთვის საარჩევნო მოდელი, რაზედაც ერთი ამბავი იყო ატეხილი, მნიშვნელოვანი არ არის. მიუხედავად შეთანხმებისა, ისინი, მაინც, დესტაბილიზაციის რეჟიმში ყოფნას განაგრძობენ. რატომ? — იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობამ“ ზუსტად იცის, რომ ვერც პროპორციული, ვერც მაჟორიტარული და ვერც შერეული სისტემით, ხელისუფლებაში ვერ მოვა. ამიტომ, ერთადერთი გზა რაც უკვე ნაცადი აქვთ და რითაც ძალაუფლებას დაეპატრონენ, ეს ქვეყნის გადატრიელების გზაა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ: ის აჟიოტაჟი რაც საარჩევნო სისტემის გარშემო იყო ატეხილი, ბლეფია. აქედან გამომდინარე, ხელისუფლება ამ მოვლენას სწორედ ამ კუთხით უნდა უყურებდეს და აფასებდეს. ამ ლოზუნგების უკან, რეალურად, დგას დესტრუქციული, რევანშისტული ძალა, რომელიც მომენტს ელოდება, რათა ქვეყანაში გადატრიალება მოახდინოს. ანუ, დღეს, ჩვენ, რეალური საფრთხის წინაშე ვდგავართ და ეს არაერთხელ ვნახეთ იგივე გავრილოვის ღამეს. ეს ღამე რეალურად პარლამენტზე შტურმის მცდელობის ღამე იყო. მაშინაც, მათ სურდათ პარლამენტში შეჭრა და ასევე, სხვა სახელმწიფო სტრუქტურების დაკავება როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. დიახ, მათ სურდათ ის, რაც 2003 წელს გააკეთეს, მაგრამ ხელისუფლებამ ეს იერიში მოიგერია. პოლიციელებს იტაცებდნენ, ჭიშკარს ლეწავდნენ. შუაღამისას რა უნდოდათ პარლამენტში?! — რა და 2003 წლის გამეორება.



თურმე, გამოხატვის თავისუფლება ყოფილა ის, რომ პოლიციელებსა და სახელმწიფო შენობებზე შტურმი მიიტანეს. აქედან გამომდინარე, ჩვენ, საზოგადოებამ მათ წინაალმდეგ კამპანია უნდა დავიწყოთ, რადგან ვხედავთ, რომ ხელისუფლება არაფერს აკეთებს. არ ვიცი, ეს, გარეზეწოლების შედეგია თუ შიდა განწყობების. სამწუხაროდ, „ნაცმოძრაობას“ „ქართულ ოცნებაშიც“ ჰყავს თავისი ჩანერგილები. ამიტომ, საზოგადოება ფხიზლად უნდა იყოს. მედია-საშუალებებით, სამეგობროსა თუ სამეზობლოს დახმარებით ერთმანეთს უნდა გავაგებინოთ, რომ არ შეცდნენ, არ გაბრიყვდნენ და მხარი არ დაუჭირონ სახელმწიფო გადატრიალებას — იმ ძალას, რომელმაც 9 წლის მანძილზე გვაჩვენა თუ რას აკეთებდა ქვეყნისთვის — დაწყებული ტერიტორიების დაკარგვით დამთავრებული ციხეებში პატიმრების გაუპატიურებით, დამონებული მედიით, სასამართლოთი და ა.შ. და ა.შ. ჩვენ, ყველამ, კარგად ვიცით ეს რა ძალაა. ამის დავიწყება არ შეიძლება. არც იმის დაჯერება შეიძლება, რომ ისინი გამოსწორდნენ. კი წლები გავიდა, მაგრამ ისინი კიდევ უფრო ორგანიზებულად, დახვეწილად მოქმედებენ და კიდევ უფრო საშიშები არიან დღეს ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ვიდრე იმ ცხრა წლიან პერიოდში იყვნენ. დღეს უფრო მეტად გაითვალისწინებენ რა შეცდომებიც გაუშვეს. მათ არ დავიწყებიათ როგორ წაართვა ქართველმა ხალხმა ძალაუფლება და ისეთ სისტემას შექმნიან, რომ შეიძლება ძალიან დიდი ხნის მანძილზე ვეღარც მოვახერხოთ ამ შავი, ბოროტი ძალის პოლიტიკიდან მოშორება. ამიტომ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ და საზოგადოებას ხმა მივაწვდინოთ, რათა არ მიიღონ ქვეყნისთვის დამღუპველი გადაწყვეტილება და „ნაცმოძრაობას“, მის ანასხლეტებს მხარი არ დაუჭირონ. მთლიანობაში, გამოჩნდა რასაც წარმოადგენს მთელი ოპოზიციური სპექტრი. ისინი „ნაცმოძრაობის“ ნაწილნი არიან. აქედან გამომდინარე, მათთვის მხარის დაჭერა არ შეიძლება. მე არ ვამბობ, რომ „ქართული ოცნება“ კარგია და ყველაფერს სწორად აკეთებს. რა თქმა უნდა, ბევრ შეცდომებსაც უშვებს, ნაკლიც აქვს, მაგრამ კიდევ უფრო უარესი, საშიში ძალით მისი ჩანაცვლება, არაფრით არ შეიძლება. „ნაცმოძრაობა“ სახელმწიფოსთვის საშიში ძალაა. საფიქრელია და ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რათა ქვეყანაში შეიქმნას ჯანსაღი პოლიტიკური ძალა, რომელიც მოვა ხელისუფლებაში და საზოგადოების ინტერესებზე იქნება ორიენტირებული. ეს ძალა უნდა იქნას მოძიებული, მაგრამ სანამ ეს რეალური ძალა არ მოვა, მანამდე „ნაცების“ დაბრუნება უფსკრულშიც გადაჩეხვის ტოლფასი იქნება. ვისაც გვჯერა და გვწამს, რომ „ნაცმოძრაობა“ არის ფაშისტური ძალა, დამანგრეველი ქვეყნისთვის, კიდევ ერთხელ შევახსენოთ ერთმანეთს, რომ მისი ხელისუფლებაში მოსვლა დაუშვებელია. ხალხმა ყველა გზა უნდა გადაუკეტოს მათ ხელისუფლებაში დაბრუნებას. კარებიდან ბევრჯერ გაყრილმა ძალამ, ფანჯრიდან შემოსვლა ვერ უნდა მოახერხოს.



**— ამ შეთანხმებას გამარჯვებად მიიჩნევს ორივე მხარე. თუმცა, ვისი და რა გამარჯვებაა ეს? ეს ფაშისტური ძალა უკვე 17 წელია საქართველოზე ძალადობს.**

— მათ, ამ შეთანხმებით, თავის მიზანს მიაღწიეს. ეს უკვე უკან გადადგმული ნაბიჯია. ისე ნუ მოვიქცევით, რომ მთლად უფსკრულში გადავიჩეხოთ. ვიმეორებ, საზოგადოებამ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს და ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ მათი ფანჯრიდან პოლიტიკაში შემოპარვა დაიბლოკოს. ჩვენ ქვეყნის გადარჩენა უნდა მოვახერხოთ. ეს არჩევნები გახლავთ ქვეყნის გადარჩენის გზა.



ახალმა პარლამენტმა უნდა იმსჯელოს იმაზე თუ რამდენად სწორია, თუნდაც, 2024 წელს პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარება. ყველა დადებითი და უარყოფითი მხარეები საჯაროდ უნდა შეფასდეს. პროპორციული, ჩვენს ქვეყანაში, საკმაოდ მანკიერი სისტემაა. 30 წელი გავიდა და პარტიების კულტურა ვერ ჩამოყალიბდა. ჩამოყალიბდნენ ინდივიდები, რომლებიც საკუთარ თავს პარტიებად აცხადებენ და იმ ერთი პირის გარდა, საზოგადოებამ, სხვა არავინ იცის. ამ ერთი კაცის ჩრდილქვეშ საპარლამენტო სიებიდან პარლამენტში უამრავი პირი ხვდება და არავინ იცის ამ პარტიამ ეს ნახირი საიდან მოიყვანა. რით არის პროპორციული სისტემით პარლამენტში შესული დეპუტატი მაჟორიტარულზე უკეთესი, ერთი, ეს განმიმარტონ და მერე ვილაპარაკოთ. მაჟორიტარულ სისტემას ის მაინც ახასიათებს, რომ ინდივიდი ვალდებულია წარდგეს ამომრჩევლის წინაშე, თავისი პლატფორმა, ხედვები წარადგინოს. ხალხმა ის მაინც იცის ვის ირჩევს. ამ პროპორციული სისტემით ორი ადამიანის გარდა, დანარჩენი 150 კაცი ვიცით ვინ არის?! კაცმა არ იცის, ვინ შედის პარლამენტში, ხომ. ეს უცნობი, უვარგისი სახეები, გარდა ბიუჯეტის ჭამისა, პარლამენტში, რეალურად, არაფერს აკეთებენ. ეს პირიქით, გადასახედია: რამდენად მისაღებია პროპორციული სისტემა ქვეყანაში, სადაც პარტიული კულტურა ჩამოყალიბებული არ არის. გაუგებარ წარმონაქმნს პარტიას ეძახიან და გაურკვეველი ადამიანები შეჰყავთ პარლამენტში, მერე დადექი და ოთხი წელი უყურე ამ უსაქმურ, არაფრისგამკეთებლებს. ანუ, პარტიული კულტურა უნდა ჩამოყალიბდეს და პლუს შეიქმნას „ქართული ოცნების“ ალტერნატივა. მაგრამ დღეს რომ გაჰკივიან: ცვლილებებია საჭიროო, ვინ უნდათ რომ შეიყვანონ პარლამენტში, ეს ნაფტალინიანი კრიმინალები?! რა ცვლილებებზეა ლაპარაკი? ვინ არის ისეთი პოლიტიკოსი, რომელიც პოლიტიკაში გამოცდილი არ გვყავს?! ცვლილება უნდა მოხდეს ახლით, პროგრესით, უკეთესით და არა უარესით. დღეს რა რეალობას გვთავაზობენ?! გაერთიანებული ოპოზიცია ხომ ყველას ჩათვლით, ეს არის ის ხალხი, რომელსაც, ცალსა-







ზად, უარი უნდა ეთქვას. ჩვენ უნდა ვეძებოთ ახალი, რომელიც საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებზე იქნება ორიენტირებული. 2003 წლის რევოლუციის გამოუსწორებელი შეცდომით, ხბოს აღტკინებით რომ მიიჭრა ის 10 ათასი კაცი მიტინგზე, ხომ ვხედავთ შედეგად რა მოიტანეს — გვამები, ქვეყნის ზიანი — დაკარგული ტერიტორიები, ქონება, ღირსებაწართმეული ხალხი და ა.შ. რა მივიღეთ დემოკრატიის ნაცვლად? — ნაცემი ჟურნალისტები, გირგვლიანის, რობაქიძის



საქმე, 150-ზე მეტი ახალგაზრდა ქუჩებში ჩახოცილი. ეს სისხლიანი რეჟიმი, დღეს, ისევ იგივე მეთოდებით აპირებს დაბრუნებას. ამიტომ, ეს ყველაფერი უნდა გვახსოვდეს, ვითვალისწინებდეთ და უნდა ვფიქრობდეთ: როგორ მოვახერხოთ იმ ძალის თავიდან არიდება, რომელიც ასეთი შეტევით, დასავლეთში მყოფი ფიგურების მხარდაჭერით ცდილობს ზეწოლა მოახდინოს დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრზე და ისე შემოიჭრას პოლიტიკაში.

**— ქალბატონო ნანა, რა მნიშვნელობა აქვს „ნაცები“ ხელისუფლებაში მოვლენ თუ ისევ ოპოზიციაში დარჩებიან. საერთოდ, პოლიტიკური ველიდან ხომ არ უნდა განვდევნოთ ეს ძალა?**

— დიახ, ისინი მაშინაც ანგრევდნენ ქვეყანას როცა ხელისუფლებაში იყვნენ და დღესაც, როცა ოპოზიციაში არიან. უბრალოდ, მაშინ ნგრევის მეტი საშუალება ჰქონდათ, ახლა — ნაკლები. ქვეყნის განვითარებას ორივე შემთხვევაში აფერხებენ. თუნდაც, დააკვირდით პროტესტის რა ფორმები აქვთ მოფიქრებული — ეს ხელისუფლებას კი არ ურტყამს, არამედ ხალხის ჯიბეს, ეკონომიურ გაჭირვებას. ისინი ქართველ ხალხს უსწორებენ ანგარიშს. ვითომ ხელისუფლებას ებრძვიან, მაგრამ რეალურად, ხალხს ებრძვიან. დიახ, იმ ხალხს ექიშპებიან, რომელმაც იგი არჩევნების გზით ხელისუფლებიდან გააძევა. გავრილოვის პროტესტმა რა მოიტანა? — ყველაზე მეტად ხალხი დაზარალდა, ხომ. დესტაბილიზაცია, რასაც „ნაცმოძრაობა“ დემოკრატიისა და თავისუფლების სახელით ქმნის, ვის ურტყამს? — რა თქმა უნდა, ხალხს. ხელისუფლებაში ყოფნისასაც ხალხს ანადგურებდნენ და დღესაც იგივეს აკეთებენ. უბრალოდ, მაშინ ფიზიკურადაც ურტყამდნენ ხალხს, დღეს — ეკონომიკურად ანადგურებენ. აი, ეს უნდა გავიაზროთ კარგად და სწორი დასკვნები გავაკეთოთ.

**— ამერიკელი კონგრესმენები, რატომღაც, ამ მოძალადეებს ესარჩლებიან და არა ქართველ ხალხს. ამას რით ახსნით?**

— ისინი შეცდომაში არიან შეყვანილნი და მოტყუებულნი, თითქოს, აქ, სახალხო პროტესტებია და „ნაცებს“ დიდი მხარდაჭერა



აქვთ. ეს არის დიდი ტყუილი კარგად შეფუთული და მიწოდებული. ამ ტყუილს აქედან ხელმძღვანელობს ლევან რამიშვილი და გიგა ბოკერია. ეს გამოცდილება 90-იანი წლებიდან აქვთ და მიზნის მიღწევას საკმაოდ გავლენიანი ადამიანების დონეზე ახერხებენ. ისინი ხომ მარტო არ არიან, არამედ ქვეყანაში ლიბერალური ძალის ინტერესებს წარმოადგენენ, რომელიც დღესაც ძალიან აქტიურად იბრძვის ძალაუფლებისთვის მიუხედავად იმისა, რომ დღეს, იგივე, ტრამპის პოლიტიკა გაცილებით ჯანსაღია. ტრამპი ძალიან ჰგავს რეიგანს, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი იყო სწორედ ის ფუნდამენტური ღირებულებები, რაზეც ჯანმრთელი საზოგადოება დგას. მიუხედავად ამისა, ამერიკის ფსევდოლიბერალური ფრთა საკმაოდ ძლიერია, რომლებიც ამ კრიმინალების უკან დგანან. აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებას უნდა ეზრუნა ჰყოლოდა ისეთივე ლობისტები, როგორც „ნაცმოძრაობას“ და ხალხისთვის სიმართლე მიეწოდებინათ. სამწუხაროდ, დღევანდელმა ხელისუფლებამ ისეთ პიროვნებას ჩაუგდო ხელში ეს საქმე და ისეთი ადამიანები განაგებენ დასავლეთისთვის ინფორმაციის მიწოდებას, რომ ბუნებრივია, წაგებული ვრჩებით. იქეთა მხარეს დგანან ეს პროფესიონალი ნაძირლები, რომელთაც დასავლეთისთვის ტყუილის შეფუთვითა და მიწოდებით ჭიპი აქვთ მოჭრილი. ამის უკან დგას ის ვითომ ლიბერალური ძალების წარმომადგენლები, რომლებიც „ნაციონალებს“ ლობირებენ, ხოლო მეორე მხარესაა შიშველი ხელისუფლება, რომელსაც ადამიანებიც კი არ ჰყავს ისეთი, ვისაც სურვილი და შესაძლებლობა ექნება, დასავლეთს სიმართლე მიაწოდოს. ეს პრობლემა აქვს ხელისუფლებას და გამოსავალსაც ვერ ვხედავ.

**— დასაწყისში ვახსენეთ, ოპოზიცია ახლა პოლიტპატიმრების გათავისუფლებას ითხოვსო. რეალურად, ვინ ითვლება პოლიტპატიმრად და ვინ არიან ეს ადამიანები?**

— იცით, საქმე რაშია: „ნაცმოძრაობის“ პროფესიონალი ნაძირალები იმასაც კი ახერხებენ, რომ კრიმინალები შეფუთონ და დასავლეთს როგორც პოლიტპატიმრებზე ისე მიაწოდონ მათ შესახებ ინფორ-




მაცია. მაგრამ მთავარი ის არის, რომ სახელმწიფო ვერ ახერხებს დასავლეთს მიაწოდოს რეალური ინფორმაცია — პოლიტპატიმრები სოკოები არ არიან და ნაწვიმარზე, უცებ, ვერ ამოვლენ. ამას, უპირველეს ყოვლისა, სჭირდება რეჟიმი, რომელიც პოლიტპატიმრებს წარმოშობს. ასე არ ხდება, რომ უცებ ვიღაც პოლიტპატიმარი გახდეს. რეჟიმები უნდა არსებობდეს. მაგალითად, მე, მოვესწარი საბჭოთა კავშირის დროს რეჟიმს და თავად გახლდით პოლიტპატიმარი. მაგრამ ეს იყო რეჟიმი, რომელიც მთელმა მსოფლიომ იცოდა — საბჭოთა რეჟიმი, რომელიც არ სცნობდა ადამიანის უფლებებს, განსაკუთრებით, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს და ვინც ამის წინააღმდეგ იბრძოდა, მას ციხით და მკვლელობით სჯიდნენ. გამსახურდიას გადატრიალების შემდგომ გაჩდნენ პოლიტპატიმრები იმიტომ, რომ რევოლუციას ყოველთვის ახლავს ეს პროცესი. ამიტომ, ეს ადამიანები გაჩდნენ და უკვე ძნელი გასარჩევი იყო ვინ იარაღით იბრძოდა, ვინ პოლიტიკური შეხედულებები თ. ხალხი ციხეებში აღმოჩნდა. შევარდნაძის ეპოქაში მივიღეთ პოლიტპატიმრები და მის დროსვე მოხდა მათი გათავისუფლება, რაშიც დიდი როლი რუსუდან ბერიძემ ითამაშა. ასევე, ვასიკო მაღლაფერიძეც იყო ამ კომისიაში. გადატრიალების შემდგომ რეჟიმმა პოლიტპატიმრები შვა. სააკაშვილის მიერ მოწყობილი გადატრიალების შემდეგ, იგი, დაერია შევადნაძის ხელისუფლების წარმომადგრნლებს დავით მირცხულავას, სულხან მოლაშვილს და ა.შ. გასაგებია, რატომ იყვნენ ეს ადამიანები პოლიტპატიმრები. ეს იყო რეჟიმი, რომელიც ამას უზრუნველჰყოფდა. დღესაც, არ არსებობს ტელევიზია, რომელიც „ნაცმოძრაობის“ სამსახურში არ არის ჩამდგარი და ოპოზიციას არ ემსახურება. „საზოგადოებრივი მაუწყებელიც“ კი ცდილობს „მთავარს“ დაემსგავსოს. ამ პირობებში გიგი უგულავა ლამის ფეიერვერკებით დასეირნობს შენობიდან შენობაში და ამ დროს მასზე გეუბნებიან: პოლიტპატიმარიაო. ეს არის სირცხვილი. მას რა პოლიტიკური დანაშაული აქვს ჩადენილი? 49 მილიონი პოლიტიკური ნიშნით მოიპარა? თუ ვანო მერაბიშვილმა რომ დატოვა ჩემოდნებით თვალთვალისა და მიყურადების კადრები, ის იყო პოლიტიკური დანაშაული? საერთოდ, რაზე ლაპარაკობენ? სად არის პოლიტიკური დანაშაული?! ვანო მერაბიშვილის საქმეს რამე მტკიცებულება უნდოდა? — შსს პირადი კადრების ფაილების ამსახველ სასაწყობე მეურნეობად აქცია. ვითომ, ამ კადრების განადგურებაში მთელი საელჩოები ღებულობდნენ მონაწილეობას. ეს ადამიანები იძახიან პოლიტპატიმრები ვართო. რამხელა ჩრდილს აყენებენ იმ პოლიტპატიმრობის იდეას და იმ ადამიანებს, რომლებიც რეჟიმებთან წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად ზოგი დაიღუპა, ზოგიც დაავადდა. მათაც პოლიტპატიმრების სახელი ატარონ და ამათაც?! ეს არის დანაშაული ისევე როგორც ის, რომ ამ ადამიანებმა ყველაფერი ფეხქვეშ გათელეს, ავტორიტეტები წაშალეს და საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ნაწილს ჩარეცხილები დაარქვეს. პოლიტპატიმრის ცნებას ღირებულებას უკარგავენ. ეს არის ყველაზე მწარე, მაგრამ არ არის ამის შემფასებელი, გამააზრებელი, საზოგადოებამდე მიმტანი. დღეს ხელისუფლებას უდიდესი პრობლემა აქვს — კაცმა არ იცის ვის აქვს ეს უფლებამოსილებები მინიჭებული რომ დასავლეთთან პოლიტიკა აწარმოოს. ქართულ საზოგადოებამდე ვერ მიაქვთ თუ რა ხდება, თორემ იმაზე აღარ არის ლაპარაკი, რომ დასავლეთში ვერ ჩააქვთ ინფორმაცია. ქართველ საზოგადოებას ვერ უხსნიან რა პროცესია ეს, როდესაც დადასტურებულ კრიმინალებს პოლიტპატიმრებს ეძახიან. ამას ვერ ახერხებს ეს ხელისუფლება.

**— ქალბატონო ნანა, თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ბოლო სიტყვა ხალხზეა?**

— რა თქმა უნდა, დღეს, ქვეყნის ბედი ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. კი ბატონო, „ქართული ოცნების“ მიმართ უზარმაზარი პრეტენზიები მაქვს, მას გამოუსწორებელი შეცდომები აქვს დაშვებული, მაგრამ ამას არ მოჰყოლია ხალხის მსხვერპლი და „ნაცმოძრაობის“ რეჟიმთან შედარებაც არ შეიძლება. „ნაცმოძრაობა“ თავისუფლად შეიძლება ფაშიზმს შეადარო, ეს, აბსოლუტურად, სხვა მოვლენაა. ეს იყო სისტემა, რომელიც კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულებს ჩადიოდა. ეს გახლდათ პროვინციული ფაშიზმი, რომელმაც მხოლოდ საქართველო მოიცვა და ამ ფაშიზმის მსხვერპლი მხოლოდ ქართველი გახდა. ამიტომ არ ჰქონდა, ქართველ ხალხს, ამ კუთხით, საერთაშორისო მხარდაჭერა. იმიტომ, რომ დასავლეთს ეს ფაშიზმი, რაც აქ ხდებოდა, არ სტკენია. ეს ეტკინა მხოლოდ ქართველ მოქალაქეს და ქართულ სახელმწიფოს. „ნაცებს“ იგივე ევროპაში და სხვაგანაც რომ განეხორციელებინათ, მაშინ ნახავდნენ თუ არ ექნებოდა ამ მოვლენას ის აღიარება, რაც ჰიტლერის რეჟიმს. მაგრამ ეს იყო პროვინციული რეჟიმი, რომელიც მარტო საქართველოს შეეხო და სამწუხაროდ, მსოფლიომ ჩვენი ტკივილი ასე ღრმად ვერ ან არ დაინახა. „ქართულმა ოცნებამაც“ არ დაანახა მსოფლიოს რა გავიარეთ 9 წლის მანძილზე. ამიტომაც არის, რომ დღეს, დემოკრატიული ქვეყნების მხრიდან ამ პროვინციული ფაშიზმის მხარდაჭერა ხდება. გარდა იმისა, რომ ქართული სახელმწიფოს მიმართ დანაშაულია დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენლების მიერ ამ რეჟიმის მხარდაჭერა, ეს ასევე, ამ ქვეყნების დიდი სირცხვილიცაა.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ხალხნო, ნუ გვაშინებთ წარღვნით და მეორედ მოსვლით – ხვალ სიმინდი და ლობიო მაქვს მოსარწყავი

დიდად პატივცემულნო, ერის რჩეულნო, სასულიერო პირნო, ფრიად დაფასებულნო და აღმატებულნო, თქვენ მე თითქმის ყოველდღე მაშინებთ – დილიდან გვიან ღამემდე ჩამძახით, რომ ქვეყანა ინგრევა, სადაცაა დედამიწა მოსწყდება თავის ღერძსა და განვიბნევით უსასრულობაში. ამას არ სჯერდებით, წამდაუწუმ გულს მიხეთქავთ, რომ ირგვლივ აღარაფერი არსებობს, მორალი წაწყმდა, ჩვენ უკვე ვართ ძონძნი, ჭუჭყნი, ტალახნი და წუთი-წუთზე დაიწყება წარღვნა, ანუ მეორედ მოსვლა.

მე კი, როგორც რეზო ინანიშვილის მოთხრობის პერსონაჟი ამბობს, ხვალ დილით სიმინდი მაქვს მოსარწყავი, უკვე გვალვაა, თუ წყალი არ მივუგდე, ლობიოც გადახმება. ნუ ჩამძახით, თითქოს რამდენიმე დღეში დედამიწა აღარ







იქნება, თითქოს აზრი აღარაფერს აქვს, ორშაბათიდან წარღვნა დაიწყება, აღარ მოვრწყა სიმინდი და ლობიო, ხალხო, აღარ მოვრწყა?!

დიახ, დიდად პატივცემულნო, აღარ მოვრწყა ლობიო და სიმინდი? გაყამირებულ მიწას აღარ დავკრა ბარი და თოხი? წყალი აღარ მივუგდო კვლებში ხეირიანად, რომ არ დახრამოს? არა? მაშ, წარღვნას დაველოდო? იქნებ კიდობანის მშენებლობა დავიწყო ნოეს მსგავსად? დიახ, ამასაც გავაკეთებდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლარი გაუფასურდა და დოლარი გაძვირდა, სამშენებლო მასალები ვეღარ შემომაქვს თურქეთიდან.

როდესაც ვამბობ „მე“-ს, ვგულისხმობ საზოგადოებას, გლეხობას, მუშობას და ასე შემდეგ. არ იფიქროთ, მე მართლა შემომქონდეს თურქეთიდან სამშენებლო მასალები, ან კიდევ ღამის ქოთნები.

ჰოდა, მეათასედ გეუბნებით, ნუ გვაშინებთ წარღვნით, მეორედ მოსვლით, სახარებაში გარკვევით წერია, რომ ბოლო ჟამის, ანუ მეორედ მოსვლის შესახებ არავინ იცის, თვით ანგელოზებმაც კი. თუ სახარებაში ასე წერია, მაშინ რაზე დაყრდნობით გვეუბნება ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი მეუფე დანიელი (დათუაშვილი), რომ წარღვნა უკვე დაწყებულია? ნახეთ, ის პირდაპირ აცხადებს:

„მართლმადიდებელ ეკლესიაში შესული სამწყსო გადარჩება. წარღვნა უკვე მიმდინარეობს, დაწყებულია. ცოდვის ღვარცოფი სულ უფრო და უფრო მატულობს და ცდილობს, ჩასძიროს ამ მორევში ადამიანები. არის წინასწარმეტყველება, რომ ივერია გაბრწყინდება უკანასკნელ ჟამს“.

თქვენ წარმოიდგინეთ, მე მესმის პატივსაცემი ადამიანების შფოთვა, ისინი თავიანთებურად განიცდიან და ასევე თავიანთებურად გვაშინებენ, რათა როგორმე „მოგვაჭკვიანონ“. არადა, წესით, ისინი იმედს უნდა გვისახავდნენ, უკეთეს ხვალინდელ დღეს უნდა გვიხატავდნენ და სულიერად გვამაგრებდნენ. ჩვენ (მით უფრო დღეს, როცა კორონავირუსი პანდემიად გამოცხადდა) გვჭირდება იმედი, სულიერი მობილიზება და არა შიშის ჩანერგვა.

ვიცი, ზოგიერთი „ურწმუნო თომა“ შემომძახებს: აბა, ეს კორონა რა ჯანდაბაა, უფალმა სასჯელად არ გამოგვიგზავნაო? განა მეორედ მოსვლა და წარღვნა სხვანაირიაო? დიახ, ასეთი „ლაპარაკები“ უკვე მიდის საზოგადოებაში და ცოტაოდენ განათლებულნი ეჭვით კითხულობენ – ნუთუ? იქნებ არ არის ეს წარღვნა და სხვა რამეაო? იქნებ ეს უბრალოდ ჯახნაბა და დოზანააო?!

ესე იგი, უყურეთ, ესენი თან გვეუბნებიან, წარღვნა დაიწყო, თუ არ დაწყებულა, მალე დაიწყება, მაგრამ ბოლო ჟამი რომ იქნება და დედამიწაზე აღარავინ დარჩება, სწორედ მაშინ გაბრწყინდება ივერიაო. უკაცრავად, დიდად პატივცემულნო, მაგრამ თუ დედამიწა ამოყირავდება, თუ ირგვლივ ყველას დედა მოეტ...ვნება, ივერია რანაირად გაბრწინდება?!

სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში არიან გამოჩენილი ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ თუკი ვინმე ცოტა ისე, უზნეოდ მოიქცა ან წესრიგი დაარღვია, ეს უკვე მეორედ მოსვლაა, წარღვნაა. მაგალითად, აი, რას ამბობს მსახიობი ზურა ყიფშიძე:

„ერთმა კორესპონდენტმა მიკროფონი მომაბჯინა სახეზე და მკითხა, ბატონო ზურა, როდის დაიწყება წარღვნაო? დაწყებული არ არის, თუ თქვენ გგონიათ, დილით დაიწყება და საღამოს დამთავრდება-მეთქი? გრიპიც წარღვნაა, ბომბიც. დედამიწა გაგიჟდა, ისეთ რამეებს ვაკეთებთ ადამიანები“.

როგორც ხედავთ, გამოჩენილი მსახიობისთვის ყველაფერი წარღვნაა – გრიპიც, ვალიც, ხელფასის დაგვიანებაც, ხელფასის უკმარისობაც, დასალევის არქონაც და პაპიროსის შემოხარჯვაც. დედამიწა გაგიჟდაო, შთააგონებს პატივცემული ზურაბი თავის შთამომავლებს, ქვეყნის მომავალ თაობას, თან კარგად უხსნის, არ გეგონოთ, წარღვნა დილით დაიწყება და საღამოს დამთავრდება, ეგ უკვე დაწყებულიაო. არადა, მომავალი თაობები სწორედ მისგან ელოდებიან იმედის ნაპერწკალს, მისგან ელოდებიან ოპტიმიზმსა და დადებით ენერგიას.

თქვენი არ ვიცი და... მე სრულად ვეთანხმები ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარს, მამა საბა (ბიკაშვილს), რომელმაც ამას წინებზე ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ ჟურნალს:

„დღეს და საუკუნეების წინაც, ბევრი აცხადებდა, რომ ამა და ამ წელს და ამ დღეს უნდა ყოფილიყო მეორედ მოსვლა. ადამიანების გარკვეულმა ნაწილმა, მათ შორის მართლმადიდებლებმაც, დაიწყეს ამ თემით სპეკულაცია. ბევრი სპეკულირებს იმითაც, რომ თითქოსდა მამა გაბრიელმა თქვა, რომ ის იქნება ბოლო ბერი საქართველოში, რომ მის გარდაცვალებას მალევე მოჰყვება მეორედ მოსვლა. ხშირ შემთხვევაში, ეს ყველაფერი მოგონილია, მამა გაბრიელს ბევრი რამ არ უთქვამს, რასაც მას მიაწერენ. საბოლოოდ, ისევ იქამდე მივდივართ, რომ ადამიანებმა არ იციან სახარება. მოციქულები ამაღლების შემდეგ ელოდნენ მეორედ მოსვლას – რომ ეს მათი ხორციელი ცხოვრების დროს მოხდებოდა, მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ არ მომხდარა. დღეს ბევრი ადამიანი რელიგიურად არასწორად ვითარდება და ხშირად ვიღებთ არა განსწავლულ, რელიგიურად ჯანსაღ ადამიანს, არამედ, ხშირ შემთხვევაში, დაბრკოლებულ და ხიბლის მდგომარეობაში მყოფ პიროვნებას. შეიძლება ადამიანი 50 წელი დადიოდეს ეკლესიაში, მაგრამ მას არანაირი სულიერება და ზნეობრიობა არ გააჩნდეს. ქრისტიანისთვის არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა იმას, თუ როდის იქნება მეორედ მოსვლა. დღეს სეტყვაც არის და მიწისძვრებიც, მაგრამ არსებობდა დრო, როცა ასეთი რაღაცეები არ მომხდარა?! დღევანდელ დღეზე გაცილებით უარესი კატაკლიზმები ხდებოდა. ამიტომ, ამ ყველაფრის მეორედ მოსვლასთან შეფარდება არასწორი იქნება. კაცობრიობა დღევანდელთან შედარებით უარეს მდგომარეობაში ყოფილა როგორც მენტალობით, ისე მსოფლმხედველობითა და აზროვნებით. დღეს გაცილებით სხვა დონეზე ვდგავართ, თუმცა, ახლაც შეგვიძლია ერთმანეთის ჭამა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეორედ მოსვ-









ლა ახლოს არის. ჩემთვის ეკლესიაში ასეთი აზროვნება მიუღებელია. იმის თქმა, რომ ეს ყველაფერი 21-ე საუკუნეში მოხდება, ჩემთვის მჩხიბავობა, მკითხაობაა და მეტი არაფერი, თავად ქრისტე ამბობს, რომ ამ ჟამის შესახებ არავინ იცის“.

ახლა კი, დიდად პატივცემულნო, მოდით, ერთ „საიდუმლოს“ ავხადოთ ფარდა. ჰმ... საიდუმლო-მეთქი, უბრალოდ რამდენიმე მომენტს შეგახსენებთ კაცობრიობის ისტორიიდან და თავადვე დარწმუნდებით, რომ არანაირი გლობალური კატასტროფა არ გველოდება. მეტიც, თუ მეორედ მოსვლას და წარღვნას მოვესწრებით, უფალი იმდენად მოწყალეა, ესეც, ალბათ, იქნება სამართლიანი.

მანამდე კი... არც თუ დიდი სიამოვნებით, გავიხსენოთ, რა გამოიარა კაცობრიობამ დღემდე, რა გამოვიარეთ ქართველებმა ამ წუთამდე და ბარემ აქვე აღვნიშნავ ხაზგასმით – არც ერთ მძიმე პერიოდში არ ყოფილა ისეთი პანიკა მეორედ მოსვლასთან, წარღვნასთან დაკავშირებით, როგორიც ახლაა. მოდით, იქით ნუღარ წავალთ, ადამ და ევას დროში, როცა ქალმა კაცს რაღაც გაუგებარი წარმოშობის ვაშლი აჭამა.

XIV საუკუნე. შავი სიკვდილი (ცნობილია, როგორც შავი ჭირი). მოდებული იყო აზიას, ევროპას, ჩრდილოეთ აფრიკასა და კუნძულ გრენლანდიაზე. თავიდან მოიცვა ჩინეთი და ინდოეთი, შემდეგ კი მონღოლთა ჯარებსა და სავაჭრო ქარავნებთან ერთად შეიჭრა ევროპაში. ამ დაავადებისთვის დამახასიათებელი სიმპტომები იყო: თავის ტკივილი, ოფლიანობა, კანკალი, ძლიერი ციებ-ცხელება. ჩნდებოდა ჩირქიანი წყლულები, ე.წ. „ბუბონები“. „შავმა სიკვდილმა“ რამდენიმე წელიწადში ევროპის მოსახლეობის მეოთხედი გაანადგურა, ორი ათწლეულის განმავლობაში იმსხვერპლა 60 მილიონი ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ შავმა ჭირმა კატასტროფული კვალი დატოვა ევროპის ისტორიაში და დაღი დაასვა ეკონომიკას, ფსიქოლოგიას, კულტურასა თუ მოსახლეობის გენეტიკურ შემადგენლობასაც კი, მაინც არავის უთქვამს, რომ ეს იყო წარღვნა, ან მეორედ მოსვლა.

1817–1926 წლები. ქოლერა – მწვავე ინფექციური დაავადება. იღუპება 100 $^0$C ტემპერატურაზე. ადამიანი ავადდება კუჭნაწლავში ვიბრიონით გაბინძურებული წყლისა და საკვების მოხვედრის შედეგად. ქოლერის გავრცელებაში დიდ როლს თამაშობს წყალსატევებში გაუწმენდავი წყლის გაშვება, სასმელად ასეთი წყლის გამოყენება. ამ დროს ტემპერატურა ეცემა, აღინიშნება ციანოზი, ქოშინი, კრუნჩხვები; ავადმყოფს სახე წაწვეტებული აქვს, თვალები და ლოყები ჩაცვენილი. ნელ-ნელა ეკარგება სმენა, ებინდება გონება.

ესპანურმა გრიპმა, იმავე „ესპანკამ“ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მთელი ევროპის მოსახლეობა მოიცვა. 1918 წლიდან, კაცობრიობის ისტორიაში, ის ერთ-ერთ ძლიერ პანდემიად ითვლება. დედამიწის მოსახლეობის 30%-ზე მეტი ამ ვირუსით იყო დაავადებული, 100 მილიონზე მეტი შემთხვევა კი სიკვდილით დასრულდა.





სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ეპიდემიების უმრავლესობა ჩინეთიდან მოდის. მაგალითად, ატიპური პნევმონია, ის 2002 წლის ნოემბერში სამხრეთ ჩინეთის პროვინცია გუანდუნში აფეთქდა. მალევე ეს დაავადება ჩინეთის სხვა რაიონებში, ვიეტნამში, ახალ ზელანდიაში, ინდონეზიაში, ტაილანდსა და ფილიპინებზე, ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის გარკვეულ ნაწილში გავრცელდა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 2002–2003 წლების ეპიდემიის დროს 37 ქვეყანაში დაავადებულთა რაოდენობამ 8437-ს, გარდაცვლილთა რაოდენობამ კი 813-ს მიაღწია.

კიდევ განვარგძო? შემდეგ იყო ქათმის გრიპი, ღორის გრიპი და აჰა, მივადექით კორონავირუსსაც, რომელიც ასევე ჩინეთში დაიბადა და იქიდან ვრცელდება. 2014 წელს იყო ებოლას ვირუსი – ყველაზე ლეტალური ეპიდემია. ამ დაავადების პირველი შემთხვევები გვინეაში დაფიქსირდა, რის შემდეგაც ციებ-ცხელება მეზობელ სახელმწიფოებში- ლიბერიაში, ნიგერიაში, სიერა-ლეონესა და სენეგალში გავრცელდა. ეს აფეთქება ებოლას ვირუსის ისტორიაში ყველაზე ძლიერად იწოდება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ებოლას ვირუსით სიკვდილიანობა 90%-ს აღწევს, ექიმებს კი მის წინააღმდეგ მოქმედი ეფექტიანი პრეპარატი არ აქვთ. ეპიდემია ჯერ კიდევ არ არის დაძლეული.

ბავშვობის პერიოდში მახსოვს, პაპა-ბებიები ჰყვებოდნენ ხოლმე, ალაზნის ველზე უამრავი დაჭაობებული ადგილები იყო და იქიდან მალარია გაჩნდა, ბლომად ხალხი იხოცებოდაო. მალარია – წინათ ფიქრობდნენ, რომ ამ დაავადებას იწვევდა ცუდი ჰაერი. თუმცა შემდეგ გაირკვა, რომ ის გადააქვს მალარიის კოღოს – ანოფელესს. მალარია გავრცელებულია აფრიკის, აზიისა და სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი რაიონის ჭაობიან ადგილებში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად მალარიით ავადდება 200 მილიონამდე ადამიანი. გასული საუკუნის 20-იან წლებში კოლხეთის დაბლობსა და ალაზნის ველზე მოსახლეობის 30% იყო დაავადებული მალარიით.

დიდად პატივცემულნო, დავანებოთ თავი ვირუსებსა თუ ინფექციებს, ბოლოს და ბოლოს, იყო პირველი მსოფლიო ომი (1914–1918), რომელსაც დაახლოებით 9 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა!

იყო მეორე მსოფლიო ომი – ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი კაცობრიობის ისტორიაში. ამ უდიდესმა გაუგებრობამ იმსხვერპლა 60 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე, მათ შორის 20 მილიონამდე მშვიდობიანი მოქალაქის!

ხედავთ, რა დღეში ყოფილა კაცობრიობა დღემდე? არა, თუ ხედავთ და გესმით, მაშინ რაღას ჩამძახით, ქვეყანა წაწყმდა, ირგვლივ სულ ჭუჭყი, ტალახი და ძონძიაო? ხალხო, რაც გერმანელმა ფაშისტებმა ებრაელებს დამართეს, რაც მთელ მსოფლიოს დამართეს, განა ეს არ იძლეოდა იმის საფუძველს, რომ მთელ დუნიაზე მეორედ მოსვლა ან წარღვნა გამოცხადებულიყო? რა თქმა უნდა, იყო საამისო საფუძველი, მაგრამ ებრაელმა ხალხმა იბრძოლა, სახელმწიფოც შექმნა და წელშიც გაიმართა!

და თქვენ... ყოველივე ამის შემდეგ მაინც ჩამძახით, რომ არ მოვრწყა ლობიო და სიმინდი? არ მივუგდო წყალი ნება-ნება და რიგები უნდა დახრამოს? თქვე ჩემისებო, რომ არ მოვრწყა და წყალიც არ მივუგდო ნორმალურად, როგორ დაგაპუროთ, ხომ ხედავთ, არც ჩინური პროდუქცია ვარგა, არც ირანული და არც არაბული?!

არააა... მე დილით მაინც ადრე ავდგები, ლობიოსაც მოვრწყავ, სიმინდსაც, კიტრსაც, პომიდორსაც, ვენახსაც, თქვენ კი იყბედეთ და იჭორავეთ... რაც მთავარია, ელოდეთ წარღვნას, შეიძლება როდისმე გაგიმართლოთ და არარატის მთის წვერზე გაიჭედოთ!

ოპტიმისტი
**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61







# პლასტელინა

## პოლიტიკური ნოველა

გიორგიმ სარკეში ჩაიხედა, საკუთარი თავი აღარ მოეწონა, წვერი წამოზრდოდა, ყურებში ბალანი გამოსჩროდა, კისერიც კაი ხნის გასაპარსი გახდომოდა, თვალები ჩასისხლიანებოდა. ტანში გააჟრჟოლა, ეს არ იყო ჩვეულებრივი ჟრჟოლვა, არც გრიპის წინაპირობა და არც რაიმე სახის ვირუსისა. ერთი ხანობა სინდისმაც წაჰქეჯნა, კაცმა პრეზიდენტად დამაწყებინა მუშაობა, ცოლიც შემრთო, ბოვშების კეთებაც მასწავლა და მე კიდენა რით დავუფასე, ავდექ და მივდექ, რაღა არ ვაკადრეო. ისევ სარკეს მიაშტერდა, გეგონება თავის თავს კი არა, სხვას უყურებდა, ვიღაც გდამთიელ გლახაკს. მელოტ თავზე ხელი გადაისვა, კანკალიც ასტყდომოდა, შუბლზე ორი გრეხილი ხაზი მომატებოდა.

- საყვარელო, ხედავ, რას დაემსგავსე? — ჩაეკითხა მაკა ჩიჩუა ნაპრეზიდანტალ ქმარუკას, რომელიც მას ფარდის უკნიდან უთვალთვალებდა.

გიორგი შეცბა, კი დაეტყო გარეგნულად დაჩაჩანაკება, მაგრამ არ



უნდოდა, სულიერად გატეხილი ენახა ვინმეს.

- ჰო, რა ვიცი, მგონი პოლიტიკა მომენატრა, — ჩაიქნია ხელი.

- მე დიდიხანია გატყობ, რომ ისევ პოლიტიკისკენ მიგიწევს გული.

- აბა, რა გავაკეთო, ჩემო სუყველაყავ? მე მხოლოდ პოლიტიკა ვიცი, კარტოფილის დათესვა ვცადე, არაფერი გამოვიდა, გახსოვს, „ბატკამ“ რომ გვაჩუქა სათესლე მასალა ჩემი პრეზიდენტობისას?

- მახსოვს, აპა არ მახსოვს? კარგი დრო იყო, შემოვაჯდებოდით მე და შენ თვითმფრინავსა და დავფრინავდით აღმა-დაღმა, ყველგან დაფა-ზურნითა გვხვდებოდნენ. წითელ ხალიჩაზე რომ გავივლიდი ხოლმე, ხუთი წლის სიცოცხლე მემატებოდა! — გადავარდა მაკა ტკბილ მოგონებებში.

- გინდა, კიდე განიცადო ეგეთი რაღაცები, ხო? — მიუგო ღიმილით გიორგიმ.

- მინდა, აპა არ მინდა? სხვადასხვა ქვეყნების ლიდერები დიდი პატივით გართმევდნენ ხელსა, სურათებსაც იღებდნენ შენთან. მე კიდე მეკითხებოდნენ, როგორა ბრძანდებით, მილედი? გულში კი ვფიქრობდი, მეხი კი დაგაყარეთ მაგ მელოტ თავებზე-მეთქი, მაგრამ ხო არ ვეტყოდი? ფარისევლურადა ვპასუხობდი, გმადლობ, მუსიე, — გადაიხარხარა მაკამ.

- ეგ დრო ისევ დაბრუნდება, ჩემო სუყველაყავ.

- ნუთუ?

- დიახ... ეხლა მარტო იმაზეღა ვფიქრობ, რომელ ძალას უნდა ჩავუდგე სათავეში, რომელი ძალა უნდა გავაძლიერო ჩემი რეიტინგით. ოღონდაც ერთხელ კიდევ ავასრულო შენი ოცნებები და მზად ვარ, მიხეილ სააკაშვილსაც კი შევხვდე უკრაინაში. ჩავალ, ვეტყვი, დიდი ბოდიში, ვერ შეგიწყალე, ვერ გავბედე-მეთქი. ის კიდენა ხელს დამარტყამს ბეჭებზე და მიპასუხებს, რაც იყო, იყო, ჩემო გიორგი, ეხლა დაკარგული სამშობლო უნდა დავიბრუნოთო. დავსხდებით, ვილაპარაკებთ ამ ქვეყნის სვე-ბედზე, ის იქითურს იტყვის, მე აქეთურს ვეტყვი, რაღაცას შევაკოწიწებ.

თუ მიშასგან არაფერი გამოვა, მაშინ ხაზარაძესთან წავალ, უსუფაშვილმა დამირეკა, შემოგვიერთდი, კარგად იხეირებო, შეიძლება ლუკაშენკოსთან ისევ გაგაგზავნოთ და ორიოდე „მეშოკ“ კარტოფილსაც გამოჰკრა ხელიო.

- კარგია კარგი კარტოფილი... მაგრამ იცოდე, მიშას ძალიანაც არ ეპიტნავება ეგ შენი ხაზარაძე, წამდაუწუმ იძახის, მე რო მოვალ, დავიჭერო, მევახშეაო, წურბელააო.

- ჰოოო... ეგ მეც დავაფიქსირე, მაგრამ როცა მოვლენები გავაანალიზე, ერთი ხანობა ვიფიქრე, შეიძლება მიშას დაბრუნება გაუჭირდეს-მეთქი. გახსოვს, მაგას კიევში რომ შევხვდი 2015-ში?

- კი, მახსოვს, აპა არ მახსოვს? არც ის დამვიწყებია, მანქანა რო გამოგიგზავნა და საიდუმლოდ წაგიყვანა ოდესაში.

- ჰოდა, მაშინ მითხრა, შემიწყალე, ჩამოვალ, მე პრემიერი ვიქნები, შენ კიდე ვადა რომ გაგითავდება, ისევ პრეზიდენტად მოგსვამო. ვერ შევძელი, საზოგადოებისა შემეშინდა.

- საზოგადოებისა კი არა, ბიძინასი შეგეშინდა! — მიახალა პირდაპირ მაკამ.

— შემეშინდა რა... უბრალოდ ვერ გავრისკე, გამოვიდოდა ტელევიზორში და დაიწყებდა, მარგველაშვილი ასეთი და ისეთია, მოღალატეაო.

გიორგი წუთით ისევ ჩაიძირა ფიქრების მორევში... შაობა, იქნებ ახლა მაინც გაუგოს?

— ჩემო სუყველაყავ, ჩამო! — წაჰკრა მუჯლუგუნი მაკამ.

- საიდან უნდა ჩამოვიდე? — ისევ შეცბა გიორგი.

- საიდან და... აშკარად ვხედავ, ტყემალზე ხარ შემომჯდარი, — ჩაიქირქილა მაკამ, — კარგად გიცნობ, ყოველთვის გიჭირს გადაწყვეტილებების მიღება. მახსოვს, სანამ ჩემ ძმას შეიწყალებდი, მაშინაც ასე იყავი ტყემალზე შემომჯდარი. სულ გაიძახოდი, ხალხი რას იტყვისო? საზოგადოება როგორ შეხვდებაო? ხომ კარგად ჩაიარა ყველაფერმა?!

- მოკლედ, უნდა წავიდე, დაველაპარაკო... თუ წითელი კაბა არ ჩაგაცვა ხელახლა და თვითმფრინავით არ გამოგზაურო, კაცი არ ვიყო! — გამოაცხადა გიორგიმ.

- სხვათა შორის, წითელი კაბა რომ ჩავიცვა, მაგისთვის პრეზიდენტობა სულაც არ არის საჭირო, ჩემო სუყველაყავ. ნუ დაგავიწყდება, რომ შენ ერთ დროს განათლების მინისტრიც იყავი.

- ჰო, ვიყავი, მაგრამ როგორც ყოფილმა პოლიტპატიმარმა ვანო მერაბიშვილმა თქვა, მე ძალიან დიდი ამბიციები მაქვს... უფრო სწორად, უნდა მქონდეს!

- უი, ვანო არ გამაგონო, მასთან მიახლოებაც კი წამგებიანია! — ისევ გაასავსავა ხელები მაკამ.

- ვიცი და ამიტომაც, ქუჩაში რომ დავინახავ, მეორე მხარეს გადავალ!

- აი, ეგრე, ჩემო სუყველაყავ, ამბობენ, პოლიტიკა დიდი ხელოვნებააო!

- ხშირად კი გაუგებარი ხელოვნება! — ჩაიცინა გიორგიმ.

- ახლა კი დროა, რომა... თავი დაიბანო, პირი გაიპარსო, ბაკები შეისწორო, ჰალსტუხი გაიკეთო და გაუდგე გზასა. ალბათ შენს პირად დალაქს ესტუმრები, ხო? ძალიან გაუხარდება ჯემალის. ამას წინებზე შემხვდა და მისაყვედურა, პრეზიდენტი აღარ მკადრულობსო. მე ვუთხარი, აღარ მუშაობს პრეზიდენტად-მეთქი. მერე რაო, ეგ ჩემთვის სუ პრეზიდენტი იქნებაო. ხედავ, როგორ გაფასებს მოსახლეობა?!

- ვხედავ, ჩემო ერთავ... ისე, სწორედ ეხლა ვფიქრობდი, „ბატკას“ ნაჩუქარი წითელი ტრაქტორი ხომ არ ამოვქოქო?

- რას გულისხმობ, ტრაქტორით რომ გახვიდე ქუჩაში?

- რატომაც არა, მე ხომ სახალხო ლიდერობას ვაპირებ?

- არ დაიჯერებ და... მომწონს ეგ იდეა.

- რატომაც არ დავიჯერებ, შენ ხომ ყოველთვის მოგწონდა ჩემი იდეები?

- სხვათა შორის, ყველაზე ძალიან ის იდეა მომეწონა, სექსზე რომ თქვი, მრავალფეროვანი მაქვსო, — გადაიხარხარა მაკამ.

- ჰოოო, ეგ მაგარი იდეა იყო... სად არი მრავალფეროვანი სექსი, თორემ კი.

- იიიჰ, ჩაქრი შენააა! — აუწითლდა ლოყები მაკას.

რამდენიმე დღის შემდეგ დუშეთში ბომბივით გასკდა ინფორმაცია და შემდეგ თბილისამდეც ჩამოაღწია: „ჩვენს მუნიციპალიტეტში მოჩვენება გამოჩნდა წითელი ტრაქტორით. ამ ტრაქტორზე გადამჯდარი კლიენტი ძალიან ჰგავს ყოფილ პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს, იგივე პლასტელინას. დუშეთის მუნიციპალიტეტის სპეციალური განყოფილების თანამშრომლები და საპატრულო ეკიპაჟები 24 საათის განმავლობაში მორიგეობენ, მაგრამ ისეთი სწრაფი და მოხერხებულია, ძალიან ჭირს მისი შეპყრობა. თუ სადმე დააფიქსიროთ, დაუყოვნებლივ დარეკეთ 112-ზე. გთხოვთ, მოერიდოთ ღამე გარეთ სიარულს და ქუჩაში ბავშვების გაშვებას, რადგან ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ტრაქტორს და არა მხოლოდ ტრაქტორს, მოშლილი აქვს სამუხრუჭე სისტემა, გასხმული აქვს „ჟიტკოსტი“.

ამ დღეებში ქართულ მედიაში გავრცელდა არასამთავრობო სექტორის განცხადება. როგორც კაპიტანი ეკა გიგაური ამბობს მთავრობისადმი საგანგებო მიმართვაში, წითელ ტრაქტორთან დაკავშირებით ჩნდება ძალიან ბევრი კითხვის ნიშნები... იმდენად ბევრი, რომ მეტი არ შეიძლება. თუ უახლოეს ხანში პრემიერი გახარია არ დადებს ყველა კითხვაზე პასუხგაცემულ დასკვნას, არასამთავრობოები ასევე მიმართავენ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს და ევროსაბჭოს. თურმე კონგრესმენმა კინზინგერმა უკვე გამოთქვა სურვილი, რომ უკიდურესად შეშფოთდეს. კინზინგერს სასწრაფოდ დაურეკავს შალვა ნათელაშვილისთვის და უთქვამს, წითელი ტრაქტორი საბჭოთა გადმონაშთია, ჩვენი ქვეყანა მაგას არ დაუშვებსო.

რედაქციის მინაწერი: მეგობრებო, თუ სადმე გადაეყაროთ წითელტრაქტორიან მხედარს, არ შეშინდეთ, ეგ ის არი, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61





# მთელმა სამყარომ, რომ დაიწყოს ერთჯერადი კოვზებით ზიარება, მე და ჩემი მრევლი მართლმადიდებლური წესით მსახურებას მაინც არ შევწყვეტთ!

## როგორ შეიძლება დავუშვათ, რომ ხელისუფლება მკვლელებმა, კრიმინალებმა, ანტიქრისტეებმა გადაიბარონ?



*ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვართან მამა ბასილ მკალავიშვილთან.*

**— მამა ბასილ, თითქმის ყველა ქვეყანაში გავრცელდა მეტად საშიში კორონა ვირუსი, რას მიაწერთ ამ მოვლენას?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ.

ჩვენთან არს ღმერთი.

მე ჩემ ინტერვიუებში ხშირად აღვნიშნავდი, რომ გონს თუ არ მოვეგებოდით, კაცობრიობას სასჯელი არ ასცდებოდა, რამეთუ გადაუხვიეს შემოქმედს — ღმერთს და შეუდგნენ ეშმაკს.

მამაზეციერმა მოავლინა თავისი ძე იესო ქრისტე, რათა ადამის ცოდვიდან მოყოლებული, წარსაწყმედელად განმზადებული კაცობრიობა ეხსნა და კვლავ სასუფეველი მიეგო მათთვის.



მოგვევლინა, რათა ეტვირთა ჩვენი ცოდვები, მოგვცა ცხოვრების წესი, დაგვიწერა წმიდა სახარება სახელმძღვანელოდ და გვიჩვენა გზა ხსნისა და ცხოვრებისა.

მივყვებით ჩვენ მის ეკლიან, სამუდამოდ მაცხოვნებელ გზას? რა თქმა უნდა, არა. შევხედოთ იმ ქვეყნებს, სადაც იესო ქრისტე ქადაგებდა, სადაც ის ჯვარზე გააკრეს, როგორ ისჯებიან — იერუსალიმი ორი საუკუნის განმავლობაში არ არსებობდა.

კორონა ვირუსი მეტად საჭირბოროტო, საერთო მსოფლიო სატკივარია, რომელიც ელვისებურად გავრცელდა დედამიწის ყველა კონტინენტზე. ეს დამსახურებული სასჯელია ჩვენზედ მოწეული.

**— მამაო, ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ზიარების დროს გამოყენებული იქნას ერთჯერადი კოვზები და ჭიქები, რამდენად მისაღებია ეს?**

— ვინც ამას დაეთანხმება, ის მოსაკვეთია მართმადიდებლობიდან, რამეთუ წმიდა ზიარება, რომელიც უფალმა ვნების კვირის დიდ ხუთშაბათს საიდუმლო სერობაზე დაუწესა მოციქულებს, ჩვენ შევცვალოთ? ეს ხომ ღმერთის უარყოფაა.

„და მოიღო პური... და განსტეხა და მისცა მათ და ჰსთქუა: ესე არს ხორცი ჩემი თქუენთვის მიცემული, ამას ჰყოფდით მოსახსენებლად ჩემდა. (ლუკა 22–19). ზიარების დროს, როცა კოვზი ეხება წმიდა ბარძიმში ქრისტეს სისხლსა და ხორცს, უხილვადი ძალიან მაღალი ტემპერატურა წარმოიქმნება, რამეთუ უფლის სისხლი და ხორცი ანტისეპტიკურია — საკურნებელი სულისა და ხორცისა. ამ დროს შეუძლებელია ერთი ადამიანიდან მეორეზე რაიმე გადავიდეს.

რაც არ უნდა მოხდეს მე, ჩემი მრევლით, არასოდეს დავაბრკოლებთ წირვა-ლოცვებს, რამეთუ თითოეული ჩვენგანის ბედს უზენაესი განაგებს. ჩვენ 6 წლის განმავლობაში ღია ცის ქვეშ არ შეგვიწყვეტია ლოცვა და ახლა უფალმა, არაფრისმქონე მღვდელს, მრევლთან ერთად, გრანდიოზული ტაძარი შეგვაქმნევინა. მთელმა სამყარომ რომ შეწყვიტოს ლოცვა, ჩვენ მართლმადიდებლურ დოგმატებს აღვასრულებთ, ჩვენ ღვთის შვილები, ღვთის მონები და ერთგულნი დავრჩებით.

კორონა ვირუსისგან თავდასაცავად ხშირად უნდა ვაკმიოთ საკმეველი. მისი სურნელება ყოველგვარ ბაცილას კლავს.

**— მამაო, ამბობენ, რომში აკრძალულა საღვთისმეტყველო მესები. ეს კათოლიკურ სამყაროში წირვა-ლოცვების შეზღუდვისა ნიშანია?**

— ჩემო კარგო, ნუ შევადრით თავს რომის პაპს. კათოლიკური ეკლესია 1054 წელს განუდგა მართლმადიდებლობას. საშინელი ბრძოლა გამოუცხადეს ქრისტეს წმიდა მცნებებს, განსაკუთრებით, ათონის წმიდა მთაზე მოღვაწე ბერებს. წარმოიდგინეთ, ისინი კბილებამდე შეიარაღებულნი დაესხნენ თავს მათ და მთლიანად ააოხრეს ათონის წმიდათაწმიდა სავანე. ამჟამად საშინელი რისხვა დაატყდათ თავს, მთელი იტალია სენმა მოიცვა... ვურჩევ მათ: ლოცვა გააძლიერონ და ღვთისკენ მობრუნდნენ, რათა გადარჩნენ...

**— ჩვენ გადავრჩებით?**

— კვლავ ვიმეორებ: გადავრჩებით, თუ კოვზებით და ჭიქებით არ ვივლით ეკლესიებში და რწმენით შევევედრებით უფალს ხსნას და გადარჩენას.

**— მამაო ე.წ. ოპოზიცია, რომლებიც სინამდვილეში, ნაციონალები არიან, ხარობენ, რომ საწადელს მიაღწიეს, — 120–30 პროპორციით არჩევნების ჩატარებას ვგულისხმობ. რას იტყვით ამაზე?**

— 1990-92 წლებში, ეროვნულმა მოძრაობამ ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ხელმძღვანელობით საქართველოს, თავისუფლება მოუტანა. დღეს ჩვენთვის თავისუფლება აღარ არსებობს. ადრე თუ რუსეთში წყდებოდა ჩვენი ქვეყნის ბედი, დღეს ყველამ უწყით, ამერიკისა და ევროპის ზეწოლის ქვეშ ვიმოყოფებით. ვინც არ უნდა იყო, ღვთის მსახური, თუ ერის წარმომადგენელი, ძნელია გულგრილად უყურებდე ათასგვარ უკეთურებს.

შევეკითხები ბიძინა ივანიშვილს, გიორგი გახარიას, არჩილ თალაკვაძეს, ირაკლი კობახიძეს, მამუკა მდინარაძეს, გია ვოლსკის, ვენდოთ თქვენ მიერ წარმოთქმულ იმედის მომცემ სიტყვებს? ნუთუ ხელისუფლება მკვლელებმა, კრიმინალებმა, ანტიქრისტეებმა უნდა გადაიბარონ?

**ბატონო ბიძინა**, მზაკვრული გეგმა ქართული გენის აღმოფხვრისა, სააკაშვილის მიერ ამოქმედებული, თქვენ შეაჩერეთ ღმერთის შემწეობით.

ნუ გახდით საქართველოს სარწმუნოების შეურაცხყოფის პოლიგონად. დადგა დრო უკომპრომისო ბრძოლის, უდიდეს გამოცდის თითოეული ჩვენგანისა.

**ბატონო გიორგი გახარია**, ერი თქვენზე ამყარებს იმედს, გთხოვთ გაგვიმართლეთ. მე ერთი მღვდელი, მრევლთან ერთად, ვებრძოდი მსოფლიო სატანურ მანქანას სოროსის მეთაურობით. ბევრი ტანჯვა-გადავიტანე, ციხეც კი. მთავარია, თქვენც ღმერთს მიენდოთ და ყოველივეს დაძლევთ.

თქვენი იმედი გვაქვს, თორემ, აი, უსმინეთ, ე.წ. ოპოზიციის წარმომადგენლები, როგორ აზრებს აფრქვევდნენ წლების განმავლობაში. უსუფაშვილი აცხადებდა: მე ჩემ შვილს არ ვასწავლი სამშობლოსათვის თავი დადოს, ვასწავლი პირადი ბედნიერებისათვის იბრძოლოსო. ბერძენიშვილი, რომელიც არ ცნობს დიდ ილიას, აკაკის, ვაჟას, ამბობს: ილაპარაკონ ამ ხალხმა, ჩვენ ჩვენი ვაკეთოთო და შეაქო ის სასულიერო პირნი, ვინაც მხარიდაუჭირა მართლმადიდებლობის დაუძინებელ გადაწყვეტილებას — ანტიდისკრიმინაციულ კანონს. მისი სიტყვებია: „აფხაზებს აქვს უფლება შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო“.

რესპუბლიკელებმა საქართველო ორ ნაწილად გაჰყვეს: განათლებულნი, ანუ ევროპელები და გაუნათლებლები, ვინც ეწინააღმდეგება ყოველგვარ უზნეობას და ამორალიზმს.

ნახეთ, რას ამბობს ქალბატონი ბურჯანაძე სპეცრაზმელებმა კარგად ჩაატარეს 7 ნოემბრის დამრბევი ოპერაციაო... ის კარგა ხანს შერეკილი სააკაშვილის გვერდით იდგა.

ჩერგოლეიშვილი იმუქრება, თუ არ გაჩუმდებით, ჯოჯოხეთს მოგიწყობთო. ბარამიძე, რომელმაც უმოწყალოდ ამოხოცა აფრასიძეების ოჯახი, ბარბაროსულად დაარბია „ჟანდარმერიის“ მიერ ჩვენი ეკლესია, ღამის ნათევი მრევლი, მერაბიშვილი ორ გვამს ითხოვდა, ამაზრზენი 26 მაისი, რომელიც ერთი ჩამოვთვალო?!



თანამემამულენო, ეს პიროვნებები და ძმანი მისნი დარბიან ბოქლომებით ხელში, ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან, რომ საქართველოსთვის, ხალხის ინტერესების დაცვისთვის იბრძვიან, ნებისმიერ საღად მოაზროვნეს შერცხვებოდა მაგათ მაგივრად, ტელეეკრანებიდან ასე უსირცხვილოდ რომ აფრქვევენ „პატრიოტულ“ სიტყვებს. ესენი ხომ დაუძინებელი მტრები არიან საქართველოსი და სარწმუნოების.

მასონ-გლობალისტი ბჟეზინსკი ამბობდა, კომუნიზმის დანგრევის შემდეგ დასავლეთის სამყაროს ნომერი პირველი მტერი მართლმადიდებლობააო.

ეს უცაბედად აფეთქებული მსოფლიო ეპიდემია, რომელიც მძვინვარებს — უდიდესი ნაღმია. გარკვეულწილად, ეს არის ბიოლოგიური ბრძოლა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, რამეთუ მათ პირველი დარტყმა უწმიდეს საიდუმლოს — ზიარებას მიაყენეს. სწორედ ახლა შევიდა გადამწყვეტ ფაზაში შეტევა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ.

მახსენდება საბჭოთა კავშირის ოცდამეხუთე ყრილობაზე ბრეჟნევის წარმოთქმული სიტყვები: „ჩვენ, საბჭოთა კავშირს, გვიპყრია მთელი მსოფლიო, დაგვრჩა დავიმორჩილოთ ის, რასაც ღმერთს ეძახით“. ყველამ ვნახეთ თუ რა ბედი ეწია საბჭოთა კავშირს. დაიმახსოვრეთ: ყველგან და ყველაფერზე უფალი მეუფობს.

**— რით დაგვამშვიდებთ და რას გვეტყვით სანუგეშოს?**

— დაგამშვიდებთ იმით, რომ გულს ნუ გაიტეხთ, რამეთუ საქართველო ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის წილხვედრია. როგორც წარსულ საუკუნეებში იყო ჩვენი მეოხი და მოგვიყვანა დღემდე, ასე იქნება ახლაც. სატანა საქართველოში ტახტს ვერ დაიდგამს.

ღმერთმა დაგლოცოთ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ციკლიდან – კავკასიური ბერმუდის სამკუთხედი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სგ“ N7–8)

ვაგრძელებთ თემას კავკასიური ბერმუდის სამკუთხედი. მართალია, ნაცები და მათი ფანკლუბი ამ შემთხვევაში ჟურნალისტები და ე.წ. უფლებადამცველები ფრიად უფრთხიან ლოპოტის ხეობაში მომხდარ ტრაგედიის მარტო ობიექტურად შეფასებას კი არა, საერთოდ, საუბარსაც, რეალობა მათ გარეშეც ცნობილია და ამ საკითხზე ჩეჩენი ჟურნალისტი ისლამ საიდაევიც ღიად საუბრობს. მისი განცხადებით, პანკისის ჯამაათის ლიდერი ზელიმხან ხანგოშვილი, რომელიც გასულ წელს გერმანიაში მოკლეს, მჭიდროდ იყო დაკავშირებული „ჩეკისტ“ გია ლორთქიფანიძესთან. როგორც უკვე რუსი ჟურნალისტი, რომელიც პანკისის ხეობაში იყო ჩასული „ლოპოტის ისტორიასთან“ დაკავშირებით, ჟურნალისტური გამოძიების ჩასატარებლად, აცხადებდა, რომ ლოპოტაში დაღუპული ქისტების ნათესავების თქმით, ხანგოშვილი ამ „ისტორიაში“ მთავარი ფიგურა იყო. საიდაევთან ინტერვიუ იმ პერიოდში აქვს ჩაწერილი რუსულ მედიას, როცა ხანგოშვილს თავს დაესხა ახალგაზრდა კაცი და ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე ჭრილობა მიაყენა, მაგრამ ხანგოშვილი გადარჩა. საიდაევი ირწმუნებოდა, რომ ხანგოშვილზე თავდასხმა (2015 წელი) ქართული სპეცსამსახურის მოწყობილი იყო, თუმცა ხმები ვრცელდებოდა, რომ რუსეთის უშიშროების სამსახურის ხელი ერიაო. საიდაევი არ აკონკრეტებს ვის გულისხმობს „ქართულ სპეცსამსახურში“, მოქმედ ძალოვანებს თუ სააკაშვილისეულ „ჩეკისტებს“, თუმცა თუ მართლაც ქართველების ხელი ერია, მაშინ ისინი სააკაშვილის გვარდია“ უნდა იყოს და რატომ. საიდაევი აცხადებს, მანამდე ხანგოშვილს საქართველოს დატოვება არ შეეძლო, იგი ბრალდებული იყო „ლოპოტის საქმეზე“, როგორც იქ მომხდარის თანამონაწილე და გაუსვლელობის ხელწერილით იყო გათავისუფლებული. როცა მას ეს აკრძალვა მოუხსნეს, იგი სახიფათო გახდა, შეეძლო საქართველოდან წასულიყო და სიმართლე ეთქვა მომხდარის შესახებ. რომ იგი მრავლისმცოდნე მოწმე იყო. რუსი ჟურნალისტის განცხადებით, ზოგიერთი ცნობით ხანგოშვილი საქართველოს ანტიტერორისტული ცენტრის ან აგენტი, ანდა თანამშრომელი იყო, ყოველ შემთხვევაში ის მჭიდროდ თანამშრომლობდა ნაციონალების დროინდელ ქართულ სპეცსამსახურებთან.

რაც შეეხება თავად ლოპოტის ხეობაში მომხდარ ტრაგედიას, ქართულმა სპეცრაზმმა იმ შეიარაღებული დაჯგუფების წინააღმდეგ ჩაატარა ოპერაცია, რომელიც თითქოსდა რუსეთის ტერიტორიიდან გადმოვიდა იქ. დაღუპულთა შორის, რამდენიმე საქართველოს მოქალაქე, პანკისელი ქისტიც იყო. საიდაევის განცხადებით, სინამდვილეში ყველაფერი ქართული სპეცსამსახურების მიერ იყო ორგანიზებული, მათ აღჭურვეს და მოამზადეს ეს ჯგუფი, შემდგომში რუსეთის ტერიტორიაზე გადასასვლელად და იქ დივერსიული ომის საწარმოებლად. ამ ჯგუფთან ქართველი სამხედრო მოსამსახურეებიც იყვნენ, ექიმი და ორი ინსტრუქტორი, მაგრამ სააკაშვილის „ჩეკისტებს“ ბოლო წამს შეეშინდათ და გადაწყვიტეს ოპერაცია გაეუქმებინათ, აღარ ჩატარებულიყო. ასე მოხდა 2001 წელსაც, გელაევის აფხაზეთში გადასვლის დროს, იგი თავის რაზმიანად ჯერ გაუშვეს აფხაზეთისკენ, მაგრამ ჩეჩენი მებრძოლები უკვე კოდორის ხეობაში რომ იყვნენ, ქართველებს შეეშინდათ და ოპერაცია ჩაშალეს. 2012 წელსაც იგივე მოხდა, სააკაშვილის „ჩეკისტები“ მიხვდნენ, რომ ხსენებული „ბოევიკების“ რუსეთში ასე ვთქვათ, ექსპორტი, შეიძლება მათთვის ძალიან ცუდად დამთავრებულიყო, არ იყო გამორიცხული რუსეთს დივერსანტთა დევნის ოპერაცია წამოეწყო და ამ მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზეც შეჭრილიყო. ამიტომ ქართულმა მხარემ ბოლო წუთს ყველაფერი გააჩერა, მაგრამ ჩეჩნები თუ სადმე წასვლას დააპირებენ, უკან აღარ მობრუნდებიან. ეს „ბოევიკები“ ქართველ ძალოვნებს არ დაემორჩილნენ, იმიტომაც ამოხოცეს ამ უკანასკნელთ ეს ბიჭები და ის ქართველი სამხედრო მოსამსახურეებიც ზედ მიაყოლეს, რომელიც ამ ჯგუფს აცილებდაო. რუსი ჟურნალისტის განცხადებით, თბილისიდან მისმა წყაროებმა აცნობეს, რომ გიორგი ლორთქიფანიძე უშუალოდ კურირებდა ამ „ბოევიკების“ რუსეთში გადასასროლად მომზადებას. დაიღუპნენ ახალგაზრდები, რომელთაგან ბევრი ევროპაში უზრუნველად ცხოვრობდა. ისინი საქართველოში შემოიტყუეს, თბილისში მისცეს ბინები, ყალბი საბუთები, იარაღი, სწავლება გაატარეს სამხედრო ბაზებზე. მათი ერთ-ერთი გადამბირებელი „ზონა“ დაბუევი, იგივე რუსლან პაპასკირი იყო. მოკლულთა შორის ადგილობრივი ქისტები, სტუდენტები იყვნენ, ასე რომ, ლორთქიფანიძეს ბევრი მოსისხლე ყავსო.





საიდაევის განცხადებით, მას გია ლორთქიფანიძესთან, როგორც საქართველოს შს მინისტრის მოადგილესთან, იძულებითი ფორმის გაცნობა ჰქონდა. მოგეხსენებათ, საიდაევი, როგორც იჩქერიის პრეზიდენტის წარმომადგენელი 1999–2009 წლებში საქართველოში ცხოვრობდა. მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, საქართველში „კუდიანების დევნის“ ხანა დაიწყო, მოდაში შემოვიდა „რუსეთის ჯაშუშების“ დაჭერა. ქართულმა სპეცსამსახურებმა მეც დამაკავეს, როგორც ერთ-ერთი ასეთი „ჯაშუში“, ასე მოვხვდი გია ლორთქიფანიძის კაბინეტშიო. როგორც საიდაევი ამბობს, რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში იმიტომ დაადანაშაულეს, რომ იგი თბილისში რუსეთის საელჩოს თანამშრომელს შეხვდა, რათა იგი თავისი ოჯახის სახლში, გროზნოში დაბრუნებაში დამხმარებოდა. ეს შეხვედრა გადაიღეს ქართული სპეცსამსახურის წარმომადგენლებმა და შემდეგ ლორთქიფანიძის კაბინეტში მაშანტაჟებდნენ, რომ ვიდოჩანაწერს ძმებ ახმადოვებს გადასცემდნენ. ახმადოვები ჩეჩენი „ბოევიკების“ ცნობილი ლიდერები, ადამიანების გამტაცებლები იმ პერიოდშიც, ანუ „უმწიკვლო“ ნაციონალების მმართველობის პერიოდშიც ყოფილან პანკისის ხეობაში. „ლორთქიფანიძე და კომპანია“, საიდაევს თურმე ემუქრებოდნენ, რომ შარიათული სასამართლოს ჯალათი მას თავს მოკვეთავდა და ოჯახსაც ამოუჟლეტდნენ. რამდენიმე საათიანი მუქარებისა და ცემა-ტყეპის შემდეგ, მაიძულეს კამერის წინ მეთქვა, რომ რუსეთის სპეცსამსახურებს ვყავდი გადაბირებული და საქართველოს წინააღმდეგ ვიბრძოდი. შემდგომ ეს ჩანაწერი ტელევიზიით აჩვენეს და გააგრძელეს ჩემი გამოყენების მცდელობა. ქართულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას იმიტომ დავთანხმდი, რომ მათ ახმადოვებს მართლაც გადასცეს სხვა პირებზე გადაღებული ფარული ვიდეოჩანაწერები, რომლებიც შემდეგ ფიზიკურად გაანადგურეს ბაქოში. მაგალითად, ნაცრეჟიმის სპეცსამსახურები მიუგზავნიდნენ ხოლმე ჩეჩენ ახალგაზრდებს უწლოვანებს („მალოლეტკი“) და იღებდნენ, როგორ ერთობოდნენ ეს ახალგაზრდები „მიგზავნილებთან“ ერთად კაფეში, ხანდახან „საქმე“ კაფეზე შორსაც მიდიოდა. შემდეგ ამ ჩანაწერებით აშანტაჟებდნენ ჩეჩენ ახალგაზრდებს, ცდილობდნენ გადაებირებინათ, თუ გადაბირება არ გამოუვიდოდათ, მერე ამ ჩანაწერებს ჩეჩენ ისლამისტებს გადასცემდნენ ხოლმე. ასეთი „გართობა-სიამტკბილობა“ მუსულმანებში რწმენიდან გადაცდომად, ცოდვად ითვლება, რის გამოც შეიძლება სიკვდილითაც კი დასაჯონ ადამიანიო. ამ უწლოვანმა „მაცდუნებლებმა“,




სააკაშვილისეული კუდ-ის ნორჩი „მაღალჩინოსნები“ გამახსენა, მერე ჟურნალისტიკის „დედობაზე“ პრეტენზიის მქონე ელისო კილაძე რომ მფარველობდა. „მალოლეტკიში“ ვერ გაიგებ მარტო ნორჩი მდედრი იგულისხმება, თუ მამრიც. სულო ცოდვილო, ნეტავ, კუდისეულმა ამ ნორჩმა „მაღალჩილოსანმა ოფიცრებმაც“, ასეთი საეჭვო „ოპერაციებით“ ხომ არ გამოჰკრეს ხელი „ჩინ-ტემლაკებს“?!

ისლამ საიდაევი: „დარწმუნებული ვიყავი, ქართულ სპეცსამსახურის წარმომადგენლებს შეეძლოთ ისლამისტებისთვის გადაეცათ ჩემი და რუსეთის საელჩოს წარმომადგენლის შეხვედრის კადრებიც, რის შემდეგ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო იმის დამტკიცება, რომ რუსეთის უშიშროების სპეცსამსახურთან არ ვთანამშრომლობდი. მძიმე მდგომარეობაში ჩავვარდი, შეიძლება სხვების მსგავსად, მეც მოვხვედრილიყავი მათ საწამებელ ჯურღმულებში, ვიცოდი ვისთანაც მქონდა საქმე და იმასაც ვხვდებოდი, რომ ერთადერთი გამოსავალი, მათ მიერ შემოთავაზებულ ნებისმიერ საქმეში მონაწილეობაზე დათანხმება იყო. ისინი მხოლოდ შანტაჟით არ შემოფარგლულან, ლორთქიფანიძის კაბინეტში ხუთი კაცი რამდენიმე საათის განმავლობაში მცემდა, რაშიც უშუალოდ მონაწილეობდა გია ლორთქიფანიძეც. რომელიღაც სს-ის საქმის მასალების სქელტანიან საქაღალდე აიტაცა მაგიდიდან, იმას მირტყამდა თავში და ღრიალებდა, სად და როდის გადაგიბირეს რუსულმა სპეცსამსახურებმა, ვინ იყო უშუალო გადამბირებელი. ვცადე თავი ხელებით დამეფარა, მაგრამ ხელები მაგრად გამიკავეს. გია გაბუნიამ და კიდევ ერთმა პირმა სეტყვასავით დამაყარეს მუშტები, სანამ იატაკზე არ დავეცი. გვიპასუხე, ვინ გადაგიბირა, როდის დაიწყე „გრუ“-ზე






მუშაობა, ერთ ხმაში ღრიალებდნენ და წიხლებით მცემდნენ. საკმაოდ დიდხანს გავუძელი ცემა-ტყეპას, სანამ ორი ნეკნი არ ჩამიმტვრიეს. აშკარა იყო ან უნდა დავთანხმებულიყავი მათ მოთხოვნას, ანდა ცემაში მომკლავდნენ“.

2014 წლის ივლისში, გამოქვეყნდა ინტერვიუ უკრაინისთვის „მებრძოლ“ ქართველ მოხალისესთან, რომელიც აცხადებდა, თუ აქ გავიმარჯვებთ, ხვალ საქართველოშიც გავიმარჯვებთო. უკრაინის ტელევიზია ვიღაცა „ბოევიკზე“ საუბრობდა, ვინმე ირაკლიზე, ოღონ ეს ნამდვილი სახელი იყო თუ საძახილი („პოზივნოი“) ვერ აკონკრეტებდა ვერც რუსული და ვერც უკრაინული მედია. ეს „ირაკლი“ ბატალიონ „დონბასის“ მებრძოლია, თავად აცხადებს, რომ საქართველოს სამხედრო დაზვერ-



ვის უფროსი იყო. აქედან გამომდინარე, გვაქვს მტკიცებულება, რომ უკრაინული შეიარაღებული შენაერთების მომზადებაში, ქართველი ინსტრუქტორები მონაწილეობენ. ამის შესახებ ინფორმაციები ადრეც იყოო, წერდა რუსი ჟურნალისტი და მაგალითიც მოყავდა, ცნობილი პროპაგანდონი პანფილოვი (ეს ეპითეტი ჩვენ არ გვეკუთვნის, რუსმა ჟურნალისტმა შეაფასა ასე ნაციონალების საყვარელი ჟურნალისტი ოლეგ პანფილოვი), რომელიც ქართული მედიასაშუალებებიდან გაპანღურეს და ახლა რადიო „თავისუფლების“ ყირიმულ რედაქციაში შეძვრა, ჯერ კიდევ 2014 წლის ივნისში წერდა საკუთარ ბლოგზე, რომ ბატალიონ „დონბასისა“ და „აზოვის“ მომზადებაში, ქართველი ყოფილი სპეცრაზმელები ღებულობდნენ მონაწილეობას.

რუსული მედია აქვეყნებდა საქართველოს სადაზვერვო სამსახურების სტრუქტურა და ამოცანების შესახებ ინფორმაციას. ეს იმათ გასაგონად, სააკაშვილი და მისი გუნდი პროფესიონალების ნაკრები რომ ეგონა და დღემდე მისტორის, ამ „პროფესიონალ-აღმაშენებლებს“, რუსებს ხელის გულზე ედოთ მთელი ამათი სტრუქტურასაქმიანობა.

გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ, განუყრელი დუეტი — დათა ახალაიასა და ვასილ სანოძის სახით, იძულებული გახდა გადამდგარიყო. ვინ ჩაანაცვლა მაშინ ახალაია კუდ-ის უფროსის თანამდებობაზე, ზუსტად აღარ მახსოვს, მაგრამ ხმები დადიოდა, რომ ეს ახალი უფროსი მხოლოდ შირმა იყო. სინამდვილეში ყველაფერს გუბერნატორ მამალაძის მეჯინიბედ „ნამსახურები“ ვაჟა ლელუაშვილი განკარგავდა. რუსული მედიის ცნობით, გაბუნია 2006–2010 წლებში საგარეო დაზვერვის უფროსი იყო, ე.ი იმ წლებში შეფობდა, როცა ეს უწყება თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშიც რომ იყო და ცალკეც. ხიზირ ალდამოვი გაბუნიას შესახებ ინტერვიუში აცხადებდა, რომ ის ძალზე ცნობადი ფიგურა იყო. მან შეკრიბა საქართველოში ჩამოსული ყველა ჩეჩენი ლტოლვილი ერთ სტრუქტურად. გაბუნიამ შექმნა რამდენიმე დაჯგუფება: შამილის (ბასაევის), გელაევის, ისაბაევის, ძმებ ახმადოვების და მათ განსხვავებული სახის დავალებებს აძლევდა. ომის დროს თუ ვინმე იყო მოსაშორებელი, გაბუნია ბასაევურ დაჯგუფებას აგზავნიდა, ადამიანი როცა იყო გასატაცებელი — ახმადოვებს უშვებდა, თუ ჩუმად უნდოდათ ვინმეს განადგურება, ამ დროს „საქმეში“ ისაბაევის ჯგუფს რთავდნენო.

სააკაშვილის რეჟიმის ჩამოცილების შემდეგ, შეწყდა ქართული სპეცსამსახურების კავშირები ჩრდილოკავკასიელ ტერორისტებთან. უკრაინასთანაც საქართველოს მოქმედი ხელისუფლება უფრო ზომიერ პოზიცია იკავებს.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ანატორის ტრაგედია

ვიკიპედიაში ვკითხულობთ:

„ანატორი – აკლდამებში ამოწყვეტილი სოფელი, რომელიც მდებარეობს პირიქითა ხევსურეთში... ალბათ უმეტესობას არ სმენია ანატორის შესახებ, ხოლო იმათ ვისაც მცირედი ინფორმაცია მაინც მოეპოვება მის შესახებ, არ შეიძლება ამ დიდებული ხალხის პატივისცემის, ცრემლისა და სევდის გარეშე გახსენება! 19 საუკუნეში ხევსურეთს, კერძოდ ანატორის მოსახლეობას თავს საშინელი განსაცდელი დაატყდა შავი ჭირის სახით. მეცხრამეტე საუკუნეში თითქმის ნახევარი მსოფლიო ოხრავდა შავი ჭირისგან.

გასაკვირია ხევსურეთში საიდან, როგორ გაჩნდა ეს სენი, მთებში, რომელიც მხოლოდ ანატორის მოსახლეობას მოედო... ზაფხულში მუცოსკენ მიმავალმა გზად ანატორის აკლდამებისაკენ შევიარე, ბილიკს დავადექი თუ არა ჰაერი დამიმძიმდა, ფეხები მომეცელა... ბავშვობაში ხშირად უხსენებია ბებიაჩემს ანატორის შესახებ, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია, ან სულაც მეგონა რომ ბავშვისთვის შესაშინებელი ამბავი მოიგონათქო. როგორც ჩემთვის ცნობილია ანატორის სასწაულთმოქმედ ხატს ერთ-ერთმა ანატორელმა (მამრობითი სქესის წარმომადგენელმა რომლის სახელიც სამწუხაროდ უცნობია) უარყო და შუბი ესროლა, რის შედეგადაც ხატი დაზიანდა და საშინელი განსაცდელი დაატყდათ თავს ანატორელებს შავი ჭირის სახით, რომელიც ძალიან სწრაფად მოედო მთელ მოსახლეობას. სენისაგან დაავადებულთა დამმარხავი არავინ იყო, ანატორელებს სენი რომ არ გაევრცოთ და მთლიანად ხევსურეთს არ მოსდებოდა, სოფლიდან მოშორებით, მდინარის გადმოღმა აკლდამები აუგიათ, ჭირით შეპყრობილნი გადადიოდნენ მდინარეს, წვებოდნენ აკლდამებში და ელოდებოდნენ სიკვდილს, გარდაცვლილის ადგილს კი სხვა სნეული იკავებდა.

ჩემს მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც აკლდამების დარაბებში შევიხედე.დახოცილთა ძვლები ჯერ კიდევ აკლდამებშია მიმოფანტული, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა ამ დიდებული ხალხის გმირობას, იცოდე განწირული ხარ და ზრუნავდე სხვების გადასარჩენად, მოკვდე უპატრონოდ და მიხვიდე საკუთარი ფეხით აკლდამაში, დაწვე და დაელოდო სიკვდილს, მხოლოდ იმისათვის რომ არ გაავრცელო ჭირი და დაიცვა არამხოლოდ შენი რჯულის ხალხი, არამედ მთლიანად ხევსურეთი განადგურებისაგან...

უსაზღვრო სევდა, უსაზღვრო პატივისცემა, უსაზღვო ტკივილი... აი რა არის დღეს ჩემთვის და ყველა ხევსურისთვის ანატორი!!! ვიდექი და



თვალს ვერ ვაშორებდიი უმოწყალოდ მიმოფანტულ ძვლებს და უცრემლოდ დავიტანჯე!.. შემოდგომას, შატილობის დღესასწაულზე მიმავალმა, გზად ისევ ანატორისაკენ შევიარე... ამჯერად სანთლით ხელში, სამწუხაროდ ძლიერი ქარის გამო ვერ მოვახერხე სანთლის ანთება... ერთ-ერთ აკლდამასთან დავინახე ყვავილებისაგან მოწნული გვირგვინი, ალბათ ჩემსავით კიდევ ვიღაცას ასტკივდა გული!!! როგორც შემდეგში გავარკვიე და შევაჯამე ინფორმაცია ამ დასახლების შესახებ, ჭირიანობის დროს ანატორის ერთ-ერთ ოჯახს ჩვილი ვაჟი დედულეთში გამოუგზავნია და საბედნიეროდ ანატორელთა მოდგმას არ შეუწყვეტავს არსებობა... ასევე დავადგინე, რომ სისაურების შტო მოდის ანატორიდან მაგრამ ეს შტო იყოფა, რადგან ანატორის დასახლება აღარ არსებობს, შემორჩენილია მხოლოდ ნასახლარები და აკლდამები, მდინარეზე გადებულმა ხიდმა ვერ გაუძლო საუკუნეებს და სოფელთან დამაკავშირებელი გზა ამჟამად არ არსებობს. გადარჩენილ ვაჟს პირაქეთა ხევსურეთში გამოულაშქრია და ლიქოკის ჭალაში დასახლებულა, ხევსურეთში რომ ვაგროვებდი ინფორმაციას აღმოჩნდა რომ გვარი ლიქოკელი სწორედ ამ შტოდან მოდის.

მოპოვებული ინფორმაცია, სანამ გადავწყვეტდი გამოქვეყნებას ძალიან ბევრჯერ გადავამოწმე, ინტერნეტში მოვიძიე მასალები, სხვადასხვა ვერსიები შევაჯამე და მაინც გადავწყვიტე მცირედი ინფორმაცია რაც გამაჩნდა თქვენთვის გამეზიარებინა. ალბათ ზედმეტია ხევსურების თავგანწირვისა და სულის სიმტკიცეზე ლაპარაკი, მაგრამ თუ ვკითხავთ ჩვენსავე თავს თუ სად იბადება სევდა და სიამაყე ალბათ მისი სახელი ანატორია!

ანატორი პირიქითა ხევსურეთში, შატილიდან დაახლოებით 3 კილომეტრში მდებარეობს. სოფელში, რომელიც ისტორიული წყაროებით



მე-18 საუკუნეში ამოწყდა, ძირითადად, სისაურებს უცხოვრიათ.

გადმოცემის თანახმად, რაღაც ინფექცია, აქაურად „ჟამი“ მოსდებია სოფელს და რაკი დამმარხავი და აკლდამამდე მიმყვანი (მიმტანი) აღარავინ რჩებოდა, ავადმყოფი ანატორელები თავისი ფეხით მიდიოდნენ აკლდამაში. ადრე გარდაცვლილებს საწოლი თაროებიდან ძირს გადმოაგდებდნენ და ახლა მშიერ-მწყურვალნი თვითონ ელოდნენ სიკვდილს.

აკლდამების შიგნით, კედლების გასწვრივ, მიცვალებულთა დასასვენებლად ორ ან სამ იარუსად ფიქლის თაროებია მოწყობილი. აკლდამებში რამდენიმე ათეული ადამიანი იყო დაკრძალული. ადრე დაკრძალულთა ძვლები იატაკზე და ქვედა იარუსის თაროებს ქვეშ იყო დაგროვილი. არქეოლოგიური გათხრის დროს აკლდამაში აღმოჩნდა ხის ჭურჭელი, სამკაულები, ისრისპირები და მონეტები.

ასეთი თვითდამარხვა კაცობრიობისთვის ალბათ უცნობია. აკლდამური დაკრძალვის ეს წესი შატილში გვიანობამდე (XX საუკუნემდე) შემორჩა.

გადმოცემის თანახმად, სოფლის მოსახლეობაზე ანატორის ჯვარი გაბრაზებულა. ანატორის ჯვარი – შატილის თემის საერთო სალოცავი იყო, რომელიც თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარეობს. ლეგენდის მიხედვით, ერთ კაცს ჯვრისთვის ისარი უსვრია, ჯვარს თემი დაუსჯია და 60 მამაკაცი ავადმყოფობით მოუკლავს.

კიდევ ერთი გადმოცემის თანახმად, ანატორის ჯვარი ალავერდიდან გადასულა ანატორში. ერთ მჭედელს ამ ხატის დაბმა განუზრახავს და მასზე ოქროს ლურსმანი დაუჭედებია. ამაზე ხატი გაჯავრებულა, ჟამი გაჩენილა და ანატორელები ამოუხოცავს. ანატორში დღესაც დაცულია ამ ხატის საბრძანისი ნიში და ხატის ტყე. ხატობა იციან ამაღლებას და მახვეწარი ანატორის ჯვარს ღმერთთან შუამდგომლობასა და დახმარებას შესთხოვს.

ანატორი იმითაც არის საინტერესო, რომ აქ ორი ხეობის გზაჯვარედინია. თავს იყრის ჩეჩენ-ინგუშეთიდან, დაღესტნიდან, თუშეთიდან, ქართლ-კახეთიდან მომავალი გზები.

მართლაც საოცარი ისტორიაა – სულისშემძვრელი, გამაოგნებელი თავისი დრამატიზმით და ამავე დროს ოპტიმისტური იმედისმომცემი ისტორია – ერი, რომლის შვილებიც ასეთი მორალურ-ზნეობრივი პრინციპებით ცხოვრობდნენ, ყველა განსაცდელს გაუძლებს, ყველანაირ ჭირსა და უბედურებას გაუმკლავდება.

# გადაიდება თუ არა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები?






კორონა ვირუსის არსებობაზე ოფიციალური ინფორმაცია დეკემბრის ბოლოს გავრცელდა. თავდაპირველად დაავადება ჩინეთში დაფიქსირდა. სავარაუდოდ, ამიტომაც პოლიტიკოსების დიდმა ნაწილმა ჩათვალა, რომ ვირუსი სხვა ქვეყნებში არ გავრცელდებოდა. სამწუხაროდ, მცდარი გამოდგა მათი ოპტიმიზმი. სულ რაღაც ორ თვეში ახალმა დაავადებამ მსოფლიო დაიპყრო და კორექტივები შეიტანა ყველა სფეროში — ეკონომიკაში, პოლიტიკაში, სპორტში, ხელოვნებაში...

პრეზიდენტობის კანდიდატობისთვის ბრძოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში გასულ კვირას გაგრძელდა. დემოკრატიული პარტიის მომხრეებს ორ კანდიდატს — ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს ჯო ბაიდენს და სენატორ ბერნი სადერსს შორის უწევთ არჩევანის გაკეთება, თუ კორონა ვირუსზე შეშინებულები რომელი მათგანი დაუპირისპირდება ნოემბრის დასაწყისში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში მოქმედ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს. პრაიმერი, გასულ კვირას 6 შტატში ჩატარდა, საიდანაც ოთხში ჯო ბაიდენმა გაიმარჯვა. გამოკითხვების მსვლელობისას ორგანიზატორები ფრთხილობდნენ — ყოველ ერთ საათში სადეზინფექციო ხსნარით ამუშავებდნენ საარჩევნო უბნებს. კორონა ვირუსის მიზეზით ორივე კანდიდატის საარჩევნო შტაბებმა გააუქმეს ამომრჩევლებთან შეხვედრები. გამზადებული სცენების დემონტაჟი პრაიმერის დასრულებისთანავე განახორციელეს. შეხვედრის გაუქმების მიზეზი გასაგებია, რადგან ორივე კანდიდატი ასაკის გამო დაავადების რისკის ჯგუფში იმყოფება.

გასულ კვირას პრაიმერში ჯო ბაიდენის გამარჯვება, როგორც ორი კვირის წინ „სუპერ სამშაბათისაში", უკვე აღარავის უკვირს. ამერიკელი პოლიტოლოგების შეფასებით, დემოკრატიული პარტიის ელიტა ჯო ბაიდენის უპირობო მხარდამჭერია. ჰილარი კლინტონს და ჯო ბაიდენს ერთი გუნდის წევრებად მიიჩნევენ. ამიტომაც, წინა საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად ბერნი სანდერსს არც ამჯერად მისცემენ არჩევნებში მონაწილეობის საშუალებას. მათივე განცხადებით, სოციალისტური შეხედულებების სანდერსი სპარინგ-პარტნიორის როლის შემსრულებელია. გავრცელებული ინფორმაციით, ჯო ბაიდენი შეპირდა დემოკრატების ელიტას, გაპრეზიდენტების შემთხვევაში დაუბრუნებს იმ პრივილეგიებს, რომელიც ტრამპის პრეზიდენტობისას შეეზღუდათ. რომელ პრივილეგიებზეა საუბარი, ამას პოლიტოლოგები ჯერ არ აკონკრეტებენ. თავად ჯო ბაიდენი



ამაყად აცხადებს „...ჩემი კანდიდატურა ნაადრევად დაასამარეს". მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში ბაიდენი ყველაზე ხანდაზმული პრეზიდენტი იქნება აშშ-ის ისტორიაში.

ექსპერტებმა დაიწყეს გამოთვლა, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები. მათი შეფასებით, თუ კორონა ვირუსი დააზარალებს აშშ-ის ეკონომიკას, ამ გარემოებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ტრამპის დამარცხებას, მიუხედავად იმისა, რომ ტრამპი ადმინისტრაციული რესურსების მფლობელია. განიხილავენ მეორე ვარიანტსაც. დონალდ ტრამპის პრაგმატულობიდან გამომდინარე, თუ დაინახავს ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის ნიშნებს, შესაძლოა საგანგებო ვითარება გამოაცხადოს და გადაავადოს საპრეზიდენტო არჩევნები. თუმცა ვნახოთ, ვარაუდები ყოველთვის როდი მართლდება. ამასობაში კი აშშ-ი ზაფხულამდე გადაიდო ყოველგვარი პრაიმერები. უცნობია ასევე, როდის გაიმართება საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის ტელედებატები. საინტერესოა, რომ ორი დღის წინ ტელედებატებში კანდიდატები ერთმანეთს კი არ ეპაექრებოდნენ, ხმაშეწყობილად აკრიტიკებდნენ ტრამპს ქვეყანაში გავრცელებული კორონა ვირუსის გამო.

„კორონა ვირუსი ჩვენ არ გვემუქრება", — ამტკიცებდა დონალდ ტრამპი ცოტა ხნის წინ. თუმცა, აშშ-ი შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი იძულებული გახდა და ქვეყანაში საერთო საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ვირუსთან საბრძოლველად დამატებით 50 მილიარდი გამოყო. „ნიუ-იორკ ტაიმსის" ინფორმაციით, აშშ-ი ექიმებს არასაკმარისად აქვთ ვირუსის ტესტირებისთვის



საკმარისი პრეპარატები. ამის გამო, ტრამპის გადაწყვეტილებით ჩაკეტვა საზღვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, შეწყდა საავიაციო ფრენები ევროპის ქვეყნებთან. ტრამპის განმარტებით, საზღვრების ჩაკეტა ტვირთბრუნავაზე არ იმოქმედებს. კორონავირუსთან ბრძოლაში ტრამპმა დემოკრატების მხარდაჭერაც მიიღო. კონგრესის სპიკერის ნენსი პელოსის განცხადებით, ახლა ყველა უთანხმოება გვერდზე უნდა გადადონ და ითანამშრომლონ. ამასობაში კი თავად დონალდ ტრამპმაც გაიარა ტესტირება კორონავირუსზე, რომელიც მას არ აღმოჩნდა. ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ დონალდ ტრამპი ცდილობს ერთ-ერთი გერმანელი მეცნიერის გადაბირებას, რომელმაც თითქოს შექმნა კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა. ტრამპის სურვილი მეცნიერი ჩაიყვანოს აშშ-ში და იქ დაიწყონ ვაქცინის წარმოება. გავრცელებულ ინფორმაციას დიდი უკმაყოფილება მოჰყვა გერმანიაში. რამდენად შეესაბამება სიმართლეს აღნიშნული ინფორმაცია უცნობია, რადგან ამ თემაზე გერმანულ პრესაში არ საუბრობენ.

ახლო აღმოსავლეთში ვითარება კვლავ დაძაბული რჩება. რუსეთ-თურქეთის პრეზიდენტების მოსკოვში მოლაპარაკების შემდეგ სირიაში ფართომასშტაბიანი ბრძოლები შეწყდა, მაგრამ მცირე შეტაკებები კვლავ გრძელდება. ერაყში, გასულ კვირას გაურკვეველმა ტერორისტული დაჯგუფების წევრებმა აშშ-ის სამხედრო ბაზაზე შეტევა განახორციელეს. კუსტარული დანადგარით, ბაზის მიმართულებით რამდენიმე ნაღმი ისროლეს. შემთხვევას 2 ამერიკელი და 1 ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურე ემსხვერპლა.

სხვადასხვა ჯურის მიგრანტებისთვის თურქეთის მხარის მიერ გახსნილმა საზღვარმა ევროპის ქვეყნებს ახალი თავსატეხი გაუჩინა. განსაკუთრებული მძიმე ვითარება საბერძნეთშია. ცალკეულ კუნძულებზე შეაღწიეს მიგრანტებმა, რომლებიც შუა ევროპაში ცდილობენ წასვლას. გავრცელებული ინფორმაციით ბევრი მათგანი სხვადასხვა ავადმყოფობით, მათ შორის კორონავირუსით არიან დაავადებულები. ბერძნული მედიის ინფორმაციით, თურქ ძალოვნებს ორგანიზებულად, ავტობუსებით მიჰყავთ მიგრანტები საბერძნეთის საზღვართან. ევროკავშირის საზღვართან გამწვავებული ვითარების გამო, ავსტრიამ თავისი სპეცდანიშნულების რაზმი გადაისროლა ბერძენი მესაზღვრეების დასახმარებლად. თუმცა, ამის თაობაზე ხმამაღლა ჯერ არ საუბრობენ. ადგილობრივი მოსახლეობის მონათხრობით მიგრანტებს თურმე იქაურობის ზუსტი რუკები ჰქონიათ. ამიტომაც ისინიც ჩაერთნენ პატრულირებაში. თურქეთი საზღვრის ჩაკეტვას არ აპირებს. პრეზიდენტი რეჯეფ ტაიფ ერდოღანი კვლავ ნატოს სთხოვს დახმარებას. ალიანსი ტრადიციულად დუმს.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი „ოლიმპიური ცეცხლის" ანთებაა. გასულ კვირას, საბერძნეთში აანთეს „ოლიმპიური ცეცხლი", რომელიც ჯერ საბერძნეთს, შემდეგ მსოფლიოს შემოივლის და ბოლოს მასპინძელ ქვეყანაში, იაპონიაში ჩაიტანენ. თუმცა, კორონავირუსის გამოისობით უცნობია ჩატარდება თუ არა წლევანდელი ოლიმპიური თამაშები. არის ვერსია 2 წლით გადაავადონ. საუბრობენ იმის შესახებაც, რომ მსოფლიოს უდიდესი სპორტული ღონისძიება მაყურებლის გარეშე გაიმართოს. ასეთ შემთხვევაში ფინანსურად დაზარალდებიან ორგანიზატორები. ასევე სპორტსმენები. შეჯიბრება გულშემატკივრის გარეშე ხომ საერთოდაც, კარგავს ხიბლს. რა გადაწყვეტილებას მიიღებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი უცნობია.

გასულ კვირას, აშშ-ს სამართალდამცველებმა დამნაშავეთა სამყაროს მოუწოდეს ქვეყანაში კორონავირუსის ფართოდ გავრცელების გამო შეაჩერონ თავიანთი საქმიანობა. მსოფლიოში გრძელდება დაავადებასთან ბრძოლა. როგორ დამთავრდება წინასწარ ვერავინ პროგნოზირებს. თუმცა დარგის სპეციალისტები ქვეყნების ერთობლივ მუშაობას მიიჩნევენ აუცილებელ პირობად, რათა საბოლოოდ დაამარცხონ ვერაგი დაავადება.

გია ბურდული
551 71 27 07



ჩევლიკა



თამაზ ნოდია



# მოხოდილების შესახებ

მკითხველს, ალბათ, ემახსოვრება ერთი მეგრელი კაცი, თამაზ ნოდია, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში ესკიმოსებს და ჩუქჩებს ინგლისურის ნაცვლად მეგრულს ასწავლიდა სკოლაში.

— ნამეტანი ნიჭიერი მოწაფეები მყავდა. ერთი წლის თავზე ეს ჩემი ჩუქჩები ისე არაკრაკებდნენ „ინგლისურს“, ანუ მეგრულს, ნამდვილი მეგრელებისგან ვერ გაარჩევდი.

ერთხელ ერთი მოწაფე მოვარდა გახარებული — თამაზ მასწ. ინგლისელები ვნახე ბაზარში, მანდარინს და თხილს ყიდიან. ერთმანეთში რომ ლაპარაკოდნენ, მივხვდი, ინგლისელები რომ იყვნენ. გამოვესაუბრე. გადაირივნენ სიხარულით — სად ისწავლე ასე კარგად ჩვენი ენაო? სულ სქანი



გოლუაფირო მიძახეს, მკოცნეს, მეფერნენ, თხილი და მანდარინი მაჩუქეს. წამოდით რა, გაგაცნობთ. ძალიან მთხოვეს, შენი მასწავლებელი გაგვაცანიო.

მე, რა თქმა უნდა, იმწამსვე მივხვდი ვინ „ინგლისელები“ იყვნენ ეს თხილის და მანდარინის გამყიდველები და ფეხი ავითრიე — დღეს არ მცალია, ხვალ წავიდეთ-მეთქი.

მეორე დღესაც რაღაც მოვიმიზეზე, მესამე დღეს საერთოდ არ მოვედი სკოლაში.

ამასობაში „ინგლისელებიც“ წავიდნენ და გადავრჩი, თორემ გასკდებოდა ეს ამბავი და დავიღუპებოდი.

მაშინ კი გადავრჩი, მაგრამ ბედი სხვა განსაცდელს მიმზადებდა თურმე.

ერთი მოწაფე მყავდა, ძალიან ბეჯითი და მონდომებული იყო ეგ შობელძაღლი. განსაკუთრებით „ინგლისური“ უყვარდა. სკოლის დამთავრების შემდეგ აიჩემა, დიპლომატიურზე უნდა ჩავაბარო, აბა, ტყუილად შევაკალი ამ ინგლისურს თავიო?

მე ვუშლიდი, რად გინდა დიპლომატიური, მეირმეობის განხრით ჩააბარე, უფრო გამოგადგება-მეთქი, მაგრამ ის თავისას აწვებოდა.

მოკლედ, წავიდა მოსკოვში და ინგლისური ენის გამოცდაზე კინაღამ გადარია გამომცდელები.

ენა, რომელზეც ჩემი მოწაფე დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ინგლისურია, ცხადი იყო, რომ ინგლისური არ იყო, მაგრამ ეს არც გერმანული იყო, არც ფრანგული, არც ესპანური, არც იტალიური, არც ჩინური.

გამომცდელები ტვინს იჭყლეტდნენ — აბა, რა ენაზე ჟღურტულებდა ეს ყმაწვილი?

ვის არ დაუძახეს, ვის არ უხმეს საშველად, მაგრამ ვერავინ ვერ მიხვდა ვერაფერს.

ბოლოს ერთმა ახალგაზრდა ქალბატონმა ამოიცნო: — ქმარი მყავდა მეგრელი და მასთან სტუმრები რომ ჩამოდიოდნენ, მისი სამშობლოდან, ამ ენაზე ლაპარაკობდნენო.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, დამიჭირეს და ექვსი წელი მომისაჯეს თაღლითობისთვის. თაღლითობა რა შუაში იყო, მაგრამ სხვა მუხლი ვერ მოიძებნა სისხლის სამართლის კოდექსში და ამ მუხლით გამასამართლეს“.

თამაზ ნოდია კარგა ხანია გარდაიცვალა, მაგრამ ბოლო ხანებში მომხდარმა ერთმა ამბავმა ეჭვი გამიჩინა — იქნებ არც გარდაცვლილა ბატონი თამაზი და თავის ძველ საქმეს აგრძელებს — მეგრულს ასწავლის ვიღაც-ვიღაცებს, როგორც უცხო ენას, ოღონდ ამას შორეულ აღმოსავლეთში კი არა აქ, საქართველოში, კერძოდ, თბილისში, აკეთებს.

რა მაძლევს ამის თქმის საბაბს?

რა მაძლევს და ბოლო დროს სასაუბრო ქართულში მყარად დამკვიდრებული ახალი სლენგი — მოხოდილი, მოხოდება, მოხოდუა, მოხოდვა.

— მაგარი მოხოდილი ტიპიაო, ეს სიტუაცია რომ მოიხოდება, ყველაფერი კარგად იქნებაო... კარგი ვინმეა, მაგრამ ცოტა მოხოდვა ჭირდებაო — ყოველი ფეხის ნაბიჯზე მესმის ეს ფრაზები და ჩემს გაოცებას და გაკვირვებას საზღვარი არა აქვს — ნუთუ ამ ხალხმა არ იცის, საიდან მოდის ეს სიტყვა და რას ნიშნავს იგი?

თქვენ დალოცვილებო, ამდენი მეგრელი ცხოვრობს თბილისში და თქვენ ერთხელ მაინც არ გაგიგონიათ სქანი დიდა ბხოდი, დიდა ხოდილი, ჯგირი ოხოდალი, ნახოდა, ხოდილი, გინოხოდილი და ა.შ? დიახ, მეგრული სიტყვა ხოდუადან მოდის ეს თქვენს მიერ აკვიატებული სიტყვა მოხოდილი, ქალბატონებო და ბატონებო, სულ პირზე რომ გაკერიათ და „სვეტსკობას“ რომ აწვებით.



რას ნიშნავს ეს სიტყვა? — ჩვეულებრივ ქართულზე რომ ვთარგმნოთ, ნამეტანი პიკანტური და „უზრდელური“ სიტყვაა, ისე, საერთაშორისო ტერმინოლოგიით, სექსს, სექსუალურ აქტს ნიშნავს.

მიხვდით, ალბათ, ხომ, რასაც ვგულისხმობ...

ჰოდა, სირცხვილია არ არის ქართველი ქალისა თუ კაცისგან, ხოდუა და ხოდუა რომ ისმის წამდაუწუმ?

თამაზ ნოდია მართლა მკვდრეთით ხომ არ აღდგებოდა?! ალბათ, რომელიმე სხვა ცუღლუტმა მეგრელმა შემოაგდო ეს სიტყვა და მასობრივ მოხმარებაში გაუშვა, მაგრამ იმან თუ იხუმრა და იანგლა, თქვენ არ უნდა იკითხოთ, რა სიტყვაა ეს და რას ნიშნავს?

ამასწინათ ერთმა ქალბატონმა, რომელიც დიდ სუპერმარკეტში მუშაობს, ასეთი რამ მითხრა: გუშინ, ჩვენმა უფროსმა, დაგვიძახა: კარგად მოიხოდეთ, გოგონებო და მეორე სართულზე ამოდითო. ჯგუფში ერთი მეგრელი ქალბატონი გვირევია და იმან ასძახა: კარგად ვართ მოხოდილები, ბატონო კაკო და ახლავე ამოვალთო.

სასაცილოა, ხომ?

სასაცილო კი არის, მაგრამ ონჯღორე რე, ონჯღორე (სირცხვილია, სირცხვილი).

# ნათია თურნავა: მოვუწოდებთ სავაჭრო ქსელებს, ნუ ისარგებლებენ შექმნილი ვითარებით, ჩვენ ამას მკაცრად გავაკონტროლებთ



მოვუწოდებთ სავაჭრო ქსელებს, ნუ ისარგებლებენ შექმნილი ვითარებით, აჟიოტაჟიური მოთხოვნით, ჩვენ ამას მკაცრად გავაკონტროლებთ, – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ სადისტრიბუციო და იმპორტიორ კომპანიებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დღეს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან, ლევან დავითაშვილთან ერთად მსხვილ სადისტრიბუციო და იმპორტიორ კომპანიებს შეხვდა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელი ლევან კაკავა და ბიზნესომბუდსმენი მიხეილ დაუშვილი.

შეხვედრა პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შექმნილი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ კორონავირუსთან დაგეგმილი ბრძოლის პრევენციული ღონისძიებებისა და დაგეგმილი რეგულარული შეხვედრების ფარგლებში გაიმართა.

შეხვედრის მთავარი თემა ფინანსური და ლოგისტიკური საკითხები იყო, მათ შორის საკვები პროდუქტებისა და პირველადი საჭიროების პროდუქტების მარაგებისა და არსებული ფასების შენარჩუნების საკითხი.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ნათია თურნავამ აღნიშნა, კომპანიების წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მარაგის თვალსაზრისით, პრობლემა არ არსებობს.

„გავიარეთ ყველა ფინანსური და ლოგისტიკური საკითხი, რითიც შეიძლება გვერდში დავუდგეთ ამ კომპანიებს. მაგრამ სანაცვლოდ საკმაოდ მკაცრად მოვთხოვეთ, რომ მარაგების შევსება მოხდეს შეუფერხებლად და სწრაფად. მივიღეთ დაპირება, რომ ამ მხრივ პრობლემა არ იქნება. ასევე მთავარი თემა იყო ფასები. მოვუწოდებთ სავაჭრო ქსელებსს, ნუ ისარგებლებენ შექმნილი ვითარებით და აჟიოტაჟური მოთხოვნით. ჩვენ ამას მკაცრად გავაკონტროლებთ“, - აღნიშნა ნათია თურნავამ.

„სახელმწიფო რეალურ რეჟიმში ახორციელებს იმის მონიტორინგს, რომ არ მოხდეს საკვები პროდუქტისა და სხვა პირველადი მოხმარების საგნებზე შეფერხება. მისი თქმით, ამ მხრივ, პანიკის საფუძველი არ არსებობს, ასევე მეორე მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ვინმემ არ ისარგებლოს ბოროტად არსებული სიტუაციით და სპეკულატიური ფასები არ არსებობდეს. ამაზე ვიქნებით ძალიან მკაცრები, პრინციპულები და მომთხოვნები“, - აღნიშნა მან.

# ბერგამო, „გვირგვინოსანი“ ვირუსი და სამი მუშკეტერი საქართველოდან

კორონა ვირუსი ცუნამივით შემოიჭრა დედამიწაზე და ყველა დიდი კონტინენტის, ყველა დიდი სახელმწიფოს ცხოვრების წესი რადიკალურად შეცვალა. ხელოვნურად შექნილმა თუ ბუნებრივად გავრცელებულმა კორონამ მსოფლიო ეკონომიკა, პოლიტიკა, ჯანდაცვა, განათლება, ყველა სფერო მოირგო და თავდაყირა დააყენა. დღეს, მსოფლიოში ყველაზე აქტუალური მისი სახელია. სწორედ მისმა „გვირგვინმა“ შეახსენა მსოფლიოს მოსახლეობას, რომ უზენაესი ძალების, ღმერთის დაშვების გარეშე, ფოთოლიც კი არ ვარდება დედამიწაზე. ცნობილია, რომ სიკვდილის წინ მდგარი ადამიანები გულმხურვალე ლოცვას აღავლენენ და სამწუხაროდ გვიან ხვდებიან, რომ ზეგანვითარებული ტექნოლოგიები წამში შეიძლება განადგურდეს... დიახ, ჩვენ ღმერთი მივატოვეთ. სიყვარული დავივიწყეთ, ვირტუალურ, ცივ გარემოში გადავინაცვლეთ. „სხვისი ჩერება, და უნდა გაჩნდეს ვირუსი, ან რაიმე ავადმყოფობა, რომელიც მიზანმიმართულად ამუხრუჭებს არასწორ მიმართულებას. ანუ მარტივი ენით რომ ვთქვათ, როგორებიცაა ჩვენი ცოდვები, ისეთი უნდა იყოს ჩვენი ავადმყოფობებიც. გაიხსენეთ სიფილისის, შავი ჭირის და ქოლერის ეპიდემიები ევროპაში. როდის დაიწყო ეს ყველაფერი? მაშინ, როცა აღორძინების ეპოქის განთიადი დაიწყო, და ეს ამავდროულად გახრწნის ეპოქაც იყო. სექსუალური გარყვნილება, თავშეუკავებლობა, თაყვანისცემა საჭმლისადმი, სექსისადმი და სიამოვნებებისადმი, – ეს ყველაფერი უნდა შეჩერებულიყო, და ამერიკიდან ჩამოსულმა მოგზაურებმა ახალი უცნობი ავადმყოფობა – სიფილისი შემოიტანეს. თუ ინდიელებს სიფილისი ვერაფერს ვნებდა, ევროპელებს სერიოზული გართულებები გაუჩნდათ. ანუ ეპიდემიები, კატაკლიზმები და სხვა უბედურებები კორელაციაში არი-



ჭირის“ მიმართ გულგრილები გავხდით და შედეგმაც არ დააყოვნა. ბიბლიიდან ჩანს, რომ წარღვნამდე „გამრავლდა დედამიწაზე ადამიანთა ბოროტება“. „გაიხრწნა დედამიწა ჭეშმარიტი ღვთის თვალწინ, რადგან აივსო დედამიწა ძალადობით და უზნეობით“. ბიბლიაში ნათქვამია „რაკი გამრავლდება ურჯულოება, ბევრში განელდება სიყვარული“. „და იქნება შიმშილობები, სნეულებანი და მიწისძვრანი...“ კარმის დიაგნოსტიკის“ ავტორი სერგეი ლაზარევი ერთ-ერთ ინტერვიუში კორონა ვირუსის შესახებ ამბობს,“ ინფექციებს და ვირუსებს ადამიანი თვითონ წარმოშობს. ეს უცნაურად ჟღერს, მაგრამ ჩემი თვალსაზრისით ჩვენი ქვეცნობიერი ავადმყოფებებს იმისთვის გვიქმნის, რომ გამოვასწოროთ ჩვენი ქცევა და ჩვენი ხედვა. ჩვენმა ქვეცნობიერმა ყველაფერი იცის. მას მთელი ინფორმაცია აქვს წარსულის და მომავლის შესახებ, ამიტომ თუ არასწორად ვიქცევით და კანონებს ვარღვევთ, რამაც შეიძლება სულს ავნოს, ჩნდება დაცვითი რეაქცია, ჩნდება ვირუსები, პრობლემები, და ამაშია განვითარების მექანიზმი. ჩემი აზრით ვირუსი მუტაციებს სწორედ ადამიანში განიცდის. როგორ? დავუშვათ, საზოგადოებაში ფორმირდება გარკვეული სახიფათო ტენდენცია, რომელიც აძლიერებს ადამიანის მიჯაჭვულობას, აძლიერებს აგრესიას, და შესაძლოა საბოლოო ჯამში ადამიანების განადგურებამდეც მიგვიყვანოს. საჭირო ხდება ამ სახიფათო ტენდენციის შეან ადამიანთა დიდი მასების შინაგან მდგომარეობასთან.“დიახ, სწორედ გახრწნილ ეპოქას ატყდება ღვთის რისხვა თავს. მართალია თავს ვიმშვიდებთ, რომ ესეც გაივლის, მაგრამ წარღვნამაც გაიარა და დედამიწაზე არსებულმა სხვა კატაკლიზმებმაც, რას დაგვიტოვებს და რას წაგვართმევს „გვირგვინოსანი“ ვირუსი საკითხავი აი ეს არის! სამწუხაროდ, ადამიანებს მოკლე მეხსიერება გვაქვს და მალე გვავიწყდება მწარე გაკვეთილები. იდუმალებით მოცული კორონა მსოფლიოს უმკაცრეს გამოცდას უტარებს, გამოცდას „ჩაწყობის გარეშე“... მეცნიერები შესაბამის სამსახურებს დიდი ხნის განმავლობაში აფრთხილებდნენ, რომ სინთეტიკურ ბიოლოგიას შეუძლია ნულამდე დაიყვანოს მედიცინაში დღემდე არსებული ყველა მიღწევა. ექსპერიმენტები, რომლებიც იწვევენ ვირუსებისა და სუპერბაქტერიების მუტაციას, მათ გამძლეს გახდიან ნებისმიერი ანტიბაქტერიული და ანტივირუსული ვაქცინებისა და პრეპარატების მიმართ. კორონა ვირუსს მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტები იკვლევენ თუმცა მისი ბოლომდე „გაშიშვლება“ დღემდე ვერ შესძლეს.

ახალი კვლევის მიხედვით, კორონავირუსი სიცოცხლისუნარიანია ჰაერში სამ სააათმდე, სპილენძზე ოთხ საათამდე, მუყაოზე 24 საათამდე და ორიდან სამ დღემდე. ტაილანდში განკურნებულ პაციენტებს ვირუსი ისევ ეწვიათ. განკურნებული პაციენტების ნაწილს კი გარკვეული







ჯანმრთელობის პრობლემები დაუტოვა... დღეს, თითქმის ყველა დიდი ქვეყანა ებრძვის უხილავ, დაუნდობელ, სასტიკ მტერს ის კი არხეინად იპყრობს ქალაქებს და სოფლებს, ჩინიანებს და უჩინოებს... ფრონტის წინა ხაზზე ყველა სახელმწიფოში სამედიცინო პერსონალია და ამიტომაც ისინი კორონამ განსაკუთრებით დასაჯა. ბერგამოს (იტალია) საავადმყოფოს ქირურგი **დანიელე მაკინი** წერს: „ახლა დუმილი უპასუხისმგებლობაა, ამიტომ მინდა გავაგებინო ადამიანებს, რას განვიცდით ამ პანდემიურ დღეებში ბერგამოში. მესმის, რომ პანიკა საჭირო არ არის, მაგრამ ვკრთები, როდესაც ადამიანები ჩივიან, რომ სპორტდარბაზებში ველარ დადიან და ვერც საფეხბურთო ტურნირებს ესწრებიან. შესაძლო ეკონომიკური ზარალის მასშტაბებსაც ვაცნობიერებ, მაგრამ მინდა განსაკუთრებულად აღვნიშნო ის ზარალი, რაც შეიძლება ადამიანების ჯანმრთელობას მიადგეს მთელ ქვეყანაში. COVID-19: ვითარება უკიდურესად მძიმე – იტალია ჩინეთს დახმარებას სთხოვს გასულ კვირაში გაოცებული ვაკვირდებოდი მთელი ჩვენი საავადმყოფოს რეორგანიზაციას, როდესაც მტერი (COVID-19) ჯერ კიდევ არ იყო ესოდენ მოძლიერებული. პალატებს ახალი პაციენტებისთვის ათავისუფლებდნენ, ხოლო რეანიმაციას აფართოებდნენ. მიმღები განყოფილება ისე გადააკეთეს, რომ ინფექციის გავრცელების რისკი შემცირებულიყო. დერეფნებში სიცარიელემ და დუმილმა დაისადგურა. თითქოს ომისთვის ვემზადებოდით, ოღონდ ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებდით, რაოდენ სასტიკი იქნებოდა ის. ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ ღამის ცვლაში ვმორიგეობდი და კორონავირუსზე „ეჭვმიტანილი“ ჩვენი პირველი პაციენტის ტესტის პასუხებს ველოდებოდი. ახლა ვითარება უკვე დრამატულია – სხვას ვერაფერს ვუწოდებ. ომი ღვივის, ბრძოლები არც დღე წყდება და არც ღამე.

პაციენტები ერთიმეორის მიყოლებით გვემატებიან. და ეს არ არის „ცუდი გრიპი“. საერთოდ, ბერგამოში მუშაობის ორი წლის განმავლობაში მივხვდი, რომ აქაურები საერთოდ არ მიმართავენ ამის გამო საავადმყოფოს. ჩვენთან შემოსული პაციენტების დიდი ნაწილი სრულად იცავდა ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებს – სიცხემ რომ აუწიათ, შინიდან ერთი კვირა ან ათი დღე არ გამოსულან, მაგრამ ახლა უკვე სუნთქვა უჭირთ – მათ ჟანგბადი „სწყურიათ“. კორონავირუსთან ბრძოლისთვის წამლები ცოტაა. მოდით, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ: ჩვენი მთავარი იმედი იმაშია, რომ ორგანიზმი ვირუსს თავად გაანადგურებს. კორონავირუსი საკმარისად შესწავლილი არ არის, თერაპია, რომელიც მის წინააღმდეგ გამოიყენება – ღრმად ექსპერიმენტული ხასიათისაა.



როგორ უნდა მოიქცეთ, თუ ეჭვი შეგეპარათ, რომ კორონავირუსი გაქვთ ეპიდემიის დასაწყისში დაავადებულებს იმედი ჰქონდათ, რომ შინ გამოჯანმრთელდებოდნენ, მაგრამ ახლა ჰოსპიტალიზაცია მწვავედ აუცილებელია. საავადმყოფოში მთელი ტაბლო გადაწითლებულია პაციენტების სახელებით – ყველა მათგანს ერთი დიაგნოზი აქვს: ორმხრივი ინტერსტიციალური პნევმონია! გრიპი ვერ გახდებოდა ესოდენ სწრაფად განვითარებადი ტრაგედიის მიზეზი – გრიპის დროს გართულებები ბევრად ნაკლებია. და ეს გართულებები მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როდესაც ვირუსი დამცავ ბარიერებს არღვევს და ჩვენი სასუნთქი სისტემის ზედა განყოფილებებში მცხოვრები ბაქტერიები ბრონქებისა და ფილტვების დაზიანებას იწყებს. COVID-19 კი უშუალოდ ფილტვების ალვეოლებს აზიანებს და ისინი ფუნქციონირებას წყვეტენ. იწყება სუნთქვის ძლიერი უკმარისობა, რასაც ჩვეულებრივი ჟანგბადური თერაპია ვერაფერს შველის. მაპატიეთ, მაგრამ, როგორც ექიმი, ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი ყველაზე მძიმე პაციენტები მარტო ხანდაზმული და პათოლოგიების მქონე ადამიანები არიან... როდესაც რეანიმაციაში სუნთქვის აპარატზე ან ECMO-ზე მიერთებულ ახალგაზრდებს ხედავ, სიმშვიდე, რომ კორონავირუსი მხოლოდ მოხუცებს ემართება, უკვალოდ ქრება.სოციალურ ქსელებში ბევრი წერს, რომ კორონავირუსისა არ ეშინიათ, თავი მოაქვთ, რომ ჰიგიენის წესებს არ იცავენ, აპროტესტებენ შეზღუდვებს, მაგრამ ეს ეპიდემიოლოგიური კატასტროფის ფაქტს ვერ აბათილებს“. იტალიაში კორონავირუსით დასნებოვნებულთა რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით მატულობს – 11 მარტს 10 149 ავადმყოფი იყო, 13 მარტს კი უკვე 17500. ავადმყოფები ძალიან ბევრია და ყველა ვერ იღებს შესაბამის ყურადღებას და მოვლა-პატრონობას. იტალიის ანესთეზიის, რეანიმაციის და ინტენსიური თერაპიის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა რეკომენდაციები ექიმებისათვის საგანგებო პირობებში. დოკუმენტში დღევანდელი სიტუაცია შედარებულია ომთან და დიდ ბუნებრივ კატასტროფასთან, როცა ექიმებს არჩევანის გაკეთება უხდებათ – პირველად რომელ დაზარალებულს გაუწიონ დახმარება. რეკომენდაციაში საუბარია შერჩევის კრიტერიუმებზე – „შეზღუდული რესურსების სამართლიან და ოპტიმალურ განაწილებაზე“. ექსპერტების მიერ შეთავაზებული მთავარი იდეა მარტივია: „ინტენსიური თერაპია პირველ რიგში უნდა ჩაუტარდეთ იმ ავადმყოფებს, რომლებთაც გამოჯანმრთელების მაღალი შანსი აქვთ. მათი აზრით, სწორედ ასე შეიძლება დაცული იყოს პრინციპი „მაქსიმალური სიკეთე მაქსიმალური რაოდენობის ადამიანებისათვის“. აქედან გამომდინარეობს მთავარი რეკომენდაცია, რომელიც ნორმალურ პირობებში წარმოუდგენელი შეიძლება მოგვეჩვენოს: „ალბათ, საჭირო იქნება ადამიანების შერჩევა ასაკის მიხედვით ინტენსიური თერაპიის მისაღებად“. ანუ ვისაც, სიბერის გამო ნაკლები შანსი აქვს გამოსაჯანმრთელებლად და ვისაც ყველა შემთხვევაში სიცოცხლისათვის მცირე დრო დარჩა, ის უნდა მიიცვალოს. ძალიან მკაცრად და ულმობლად ჟღერს, მაგრამ ამის ერთადერთი ალტერნატივა – “ვინც ადრე მოვიდა, დახმარებაც იმან მიიღოო” – უფრო უარესია. ასაკთან ერთად, ექსპერტები ექიმებს რეკომენდაციას აძლევენ, რომ მათ მხედველობაში მიიღონ და გაითვალისწინონ პაციენტის საერთო მდგომარეობა, ან ყურადღებით შეაფასონ თანმდევი პათოლოგიის არსებობა... რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, კორონასთან მებრძოლმა სამმა მუშკეტერმა „მტერს“ ბრძოლის ისეთი სტრატეგია და ტაქტიკა აჩვენა რომელიც არცერთ „მაღალგანვითარებად“ სახელმწიფოში არ შეხვედრია. მართალია მათ ოპოზიციის ნაწილი კომუნისტურ გადმონაშთად თვლის, მაგრამ ფაქტია, რომ შესანიშნავი სამეულის ბრძოლის მეთოდებმა გაამართლა...

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30



# ასეთი ღვაწმოსილი ადამიანების მხრებზე დგას საქართველო!

10 მარტი ჩვენი დროის უდიდესი ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარებისა და ეროვნული ეკონომიკის გარდაქმნის უახლოესი ისტორიის მემატიანის – ნოდარ ჭითანავას დაბადების დღეა. სხვა რეგალიები, რაც მან მოიხვეჭა და აღმატებული ეპითეტები, რომელსაც იმსახურებს, მთელი გვერდიც ვერ დაიტევს, მაგრამ მათ შეენებულად ვარიდებ თავს – საკმარისია გვარ-სახელის ხსენება, რომ პატივისცემით განიმსჭვალო მის მიმართ, ვინც იცნობს, თვალწინ დაუდგეს მისი ზემაღალი ერუდიცია, უბადლო ნიჭი, განვლილი გზა და ათას ქარტეხილს გამორიდებული უმწიკლო ბიოგრაფია.

ბატონი ნოდარის კარიერულ წინსვლას მუდმივად ახლდა თავდაუზოგავი შრომა, ტოლუპოვარი კვალიფიკაცია და უბადლო კომპეტენცია. ის ნებისმიერი საფეხურზე იღვწოდა და იღებდა ქვეყნის კეთილდღეობის შესაფერ გადაწყვეტილებებს. ამდაც დარჩა კეთილშობილების, ღირსების მაღალ ოლიმპოზე და საზოგადოებისგან პატივისცემას იმკის.

ფასდაუდებელია ნოდარ ჭითანავას მეცნიერული მოღვაწეობა. მის სამეცნიერო ნაშრომებსა თუ მონოგრაფიებში ასახულია ღრმა ფიქრის, განსჯის, საკუთარი გამოცდილებისა და ემოციის წიაღში გამოვლილი მოსაზრებები, რომლებსაც, შესაძლოა, თამამად **დაეფუძნოს საქართველოს განვითარების სტრატეგია და სახელმწიფოს ეროვნული იდეოლოგია.**

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ორიოდ წლის წინათ გამოცემული მისი მონოგრაფია: **„საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია“**, უნიკალური სამეცნიერო განძია. შეუძლებელია აღფრთოვანება დამალო ამ წიგნში ჩაკირული ვითარების აღქმითა და ობიექტურად წარმოჩენით, საყურადღებო დასკვნებით და პრაგმატული რეკომენდაციებით.

დაუშვებელია ამ გამოცდილების არ გამოყენება. ასეთ ბუმბერაზ მხრებზე დგას საქართველო!

ვიცი, ბატონი ნოდარი დღეს უთვალავ მოლოცვას მიიღებს მადლიერი მოწაფეებისგან, კოლეგებისგან, რიგითი ნოქალაქეებისგან და მეც გულრწფელად ვუერთდები მათ კეთილ სურვილებს.

ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობა და მხნეობა ვისურვოთ მას.

**იური პაპასქუა**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

„საერთო გაზეთის“ დღევანდელი ნომერი ემთხვევა გაზეთის მთავარი რედაქტორის, დამფუძნებლისა და სულისჩამდგმელის, ბატონი **ვახტანგ ხარჩილავას** დაბადების დღეს.

„საერთო გაზეთის“ მთელი კოლექტივი პატივისცემით და სიყვარულით ულოცავს მას დაბადების დღეს. დიდხანს სიცოცხლეს, სიხარულს და გამარჯვებას უსურვებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**საერთო გაზეთის რედაქცია**

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

**„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი**

მთვარისა კვილიტაძე.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

**– როგორც გავიგე, სისხლის სამართლის კოდექსსი შემოტანილია ახალი მუხლი- ადევნება. რას ნიშნავს ადევნება და რა სანქციებია დაწესებული?**

– დიახ, არის ასეთი სიახლე სისხლის სამართლის კოდექსში. წარმოგიდგენთ შესაბამის სამართლის ნორმას სანქციებითურთ.

**მუხლი 151[1]. ადევნება**

1. პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;

ბ) ჯგუფურად;

გ) არაერთგზის;

დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

* * *

**– წარმოშობს თუ არა სამართლებრივ შედეგებს ჯვრისწერა?**

– ეს შეკითხვა ხშირად შემოდის რედაქციაში. ჭორებისა და გავრცელებული საუბრების ფონზე, მოქალაქეები ფიქრობენ, რომ ჯვრისწერა, სამოქალაქო ქორწინების მსგავსად, არის სამართლებრივი შედეგების საფუძველი. ეს მცდარი აზრია. ჯვრისწერა არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ამიტომ ყველას ვურჩევ, ჯვრისწერასთან ერთად, ქორწინება გააფორმონ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. აღნიშნულს დაგიკონკრეტებთ შესაბამისი სამართლებრივი ნორმით:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლი: ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობა

მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრირებული ქორწინება.

* * *

**– ჩვენი ადვოკატის მიერ დაწერილი საკასაციო საჩივარი არ მიიღო განსახილველად უზენაესმა სასამართლომ. რამდენად სამართლიანია ეს? ზოგადად, ასევე, მაინტერესებს საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი.**

– თუ საკასაციო საჩივარში დასაშვებობის პირობები არ არის ჩამოყალიბებული, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერია.

უფრო მეტი სიზუსტისთვის მოგაწოდებთ შესაბამის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებს, რომლებიც სრულყოფილად და ამომწურავად უპასუხებენ თქვენთვის საინტერესო საკითხს.

მუხლი 303. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტა

1. თუ საჩივარი არ შეესაბამება ამ კოდექსის 301-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით კასატორს აძლევს 5 დღის ვადას, რომელიც საჭიროა საჩივრის ხარვეზის შესავსებად. თუ კასატორი არ შეასრულებს აღნიშნულ მოთხოვნას, საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით საჩივარს განუხილველად ტოვებს. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. (ამოღებულია – 08.02.2017, N260).

3. საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ:

ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური



ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;

ზ) კასატორი არასრულწლოვანი მსჯავრდებულია.

3[1]. საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად. თუ საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, იგი დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

3[2]. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმოს საკასაციო საჩივრის დასაშვებობა.

3[3]. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. ეს განჩინება უნდა შეიცავდეს კასატორის მიერ მითითებული დასაშვებობის საფუძვლების არგუმენტირებულ უარყოფას.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სასამართლო საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების გამოტანიდან 5 დღის ვადაში წერილობით ატყობინებს მხარეებს, ხოლო თუ დაუშვებლად ცნობილია პროკურორის საკასაციო საჩივარი – აგრეთვე ზემდგომ პროკურორს.

5. თუ საკასაციო სასამართლო განჩინებით საჩივარს დასაშვებად მიიჩნევს, იგი ნიშნავს საკასაციო სხდომის თარიღს. საკასაციო სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში.

6. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

7. კასატორს უფლება აქვს, შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე გაითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანოს განჩინება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება. საჩივრის განმეორებით შეტანა დაუშვებელია.

8. საკასაციო სასამართლოში საკასაციო საჩივარზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღება საკასაციო სასამართლოში საქმისა და საჩივრის შესვლიდან არა უგვიანეს 6 თვისა.

# მარია-ანტუანეტას დეკორატიული სოფელი



მარია-ანტუანეტა საფრანგეთის უკანასკნელი დედოფალი იყო. მას „როკოკოს დედოფალს“ და „მადამ დეფიციტსაც“ უწოდებდნენ. მიუხედავად ტიტულებისა და სიმდიდრისა, მისი ხანმოკლე, მაგრამ უბედური ცხოვრება ბევრი კინემატოგრაფისტის, მწერლისა და მხატვრის შთაგონებად იქცა. ჩვენს დრომდე მოაღწია მისმა ერთ-ერთმა ყველაზე ექსტრავაგანტურმა პროექტმა — დეკორატიულმა სოფელმა.

სიცოცხლეში დედოფალს არასერიოზული, ეგოისტი და ამორალური ქალის სახელი ჰქონდა, რომელიც სახელმწიფო ხაზინას თავისი ახირებებისთვის ხარჯავდა. მარია-ანტუანეტა ძალიან მფლანგველი იყო. ის ბევრ ფულს ხარჯავდა საფრანგეთისთვის ძალიან მძიმე დროსაც კი.

როგორ განვლო მარია-ანტუანეტამ თავისი ხანმოკლე ცხოვრების გზა სამეფო ოჯახის უმცროსი ქალიშვილიდან საფრანგეთის დედოფლობამდე, რომლის ფეხებთანაც მთელი ევროპა იყო გართხმული, როგორ ჩამოაგდეს ტახტიდან, როგორ გაასამართლეს და დასაჯეს იგი?



მარია-ანტუანეტა 1775 წელს დაიბადა. მისი მშობლები წმინდა რომის იმპერიის იმპერატორი ფრანც I სტეფანი და უნგრეთისა და ბოჰემიის დედოფალი მარია-ტერეზია იყვნენ. მომავალი დედოფალი ოჯახში მეტხუთმეტე შვილი იყო. არავის აწუხებდა არც იმპერატრიცას სიცოცხლე და არც მისი ჯანმრთელობა.

მაგრამ თავიდან ყველაფერი ასე როდი იყო. მარია-ტერეზია ორსულობის დროს ძალიან გახდა, თავს ცუდად გრძნობდა და ძლიერ დასუსტდა. მშობიარობა დროზე ადრე დაეწყო, რასაც სირთულეები მოჰყვა. მშობიარობამდე ერთი დღით ადრე ლისაბონში საშინელი მიწისძვრა მოხდა, რომელმაც ათასობით ადამიანი იმსხვერპლა. იმპერატრიცამ ეს ძალიან ცუდ მინიშნებად ჩათვალა, გოგონას ნათლიებად ხომ პორტუგალიის მეფე და დედოფალი ჰყავდათ არჩეული.

მარია ანტონია იოზეფა იოანა ჰაბსბურგ-ლოტარინგიელზე დედა დიდ იმედებს არ ამყარებდა. გოგონას ყველა შანსი ჰქონდა, ბედნიერი ცხოვრებით ეცხოვრა და სიყვარულითაც კი გათხოვილიყო, მაგრამ ბედმა სხვაგვარად ინება. მარია-ტერეზია ძალიან ამბიციური იყო. ჰაბსბურგებისა და ბურბონების დინასტიები რამდენიმე ასწლეულის მანძილზე ერთმანეთთან საქორწინო კავშირით იყვნენ დაკავშირებული. სხვადასხვა მიზეზთა გამო, ავსტრიის იმპერატრიცამ ვერ შეძლო ფრანგი დოფინისთვის რომელიმე უფროსი ქალიშვილი მიეთხოვებინა. აი, ამგვარად გახდა ჯერ საცოლე, შემდეგ კი ცოლი ლუდოვიკო XVI-ისა მარია-ანტუანეტა.

ვერსალში საზეიმო ქორწინების შემდეგ სახალხო სეირნობა მოაწყო. საზეიმო ფოიერვერკების დროს რამდენიმე ადამიანმა ტრავმა მიიღო, ამის გამო დაწყებული პანიკის დროს 139 ადამიანი გარდაიცვალა. ეს გახდა არა მხოლოდ მეორე ავისმომასწავებელი ნიშანი მარია-ანტუანეტას ცხოვრებაში, არამედ თავად საფრანგეთის მონარქიის დაღუპვის მაცნეც.

მარია-ანტუანეტას უბედურ ქორწინებას ისიც ამძიმებდა, რომ დოფინს ფიმიზმი ჰქონდა. სრულფასოვან მამაკაცად გასახდომად მას წინდაცვეთის ჩატარება სჭირდებოდა. ლუდოვიკს ამის საშინლად ეშინოდა. ახალგაზრდა დოფინა ახალგაზრდულ ქალურ უბედურებას ღვინოში ახრჩობდა, ერთობოდა მეჯლისებზე და ძალიან იყო გატაცებული აზარტული თამაშებით. ძვირფასი სამოსი, მეჯლისები, ძვირადღირებული კაპრიზები — იგი თავს ისე ირთობდა, როგორც შეეძლო.

მარია-ანტუანეტა ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო. მასზე ზრუნავდა გამოცდილი დამრიგებელი — ავსტრიის ელჩი გრაფი მერსი დ'არჯანტო. მიუხედავად ამისა, ის ვერ ახერხებდა გაეკონტროლებინა ძალიან აქტიური ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც გახრწნილი ვერსალის გასართობებს მიეძალა.

როცა ახალგაზრდა ლუდოვიკო XVI ტახტზე ავიდა, ხალხი ცხოვრების გაუმჯობესებას ელოდა. დოფინს კარგი რეპუტაცია ჰქონდა და მარია-ანტუანეტაზეც ისე საუბრობდნენ, როგორც კეთილ და მხიარულ ქალზე, მაგრამ ლუდოვიკო ცოლს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და ახალგაზრდა დედოფალი თავით გადაეშვა სამეფო კარის უგზო-უკვლო მხიარულებაში.

დრო გადიოდა. ფრანგი ხალხი დედოფალს უნაყოფოდ თვლიდა, ადამიანად, რომელიც სამეფო ხაზინას თავისი ახირებების დასაკმაყოფილებლად ანიავებდა. მის შესახებ უხამსი პამფლეტების შეთხზვა დაიწყეს და სთავაზობდნენ, უკან, ავსტრიაში წათრეულიყო.

ქალიშვილის ბედი ძალიან აწუხებდა მარია-ტერეზიას. ხედავდა რა, რომ ანტონია, უბრალოდ, იღუპება, იმპერატრიცამ საფრანგეთში თავისი ვაჟი, იოსები გაგზავნა. მან შეძლო დაეყოლიებინა სიძე, ოპერაცია გაეკეთებინა. და, ბოლოსდაბოლოს, შვიდი წლის ქორწინების შემდეგ, ლუდოვიკმა შეძლო მეუღლის მოვალეობის აღსრულება.

საჭირო ვადის შემდეგ დედოფალმა პირველი შვილი — გოგონა მარია ტერეზა შარლოტა გააჩინა. ბავშვის დაბადების შემდეგ ახალგაზრდა დედოფალი გონს მოეგო — ის ერთგული დედა და ცოლი გახდა და კიდევ სამი შვილი ეყოლა.

მარია-ანტუანეტას სურდა სამეფო კარის გარყვნილებისა და სულის შემხუთველი ფარისევლური ეტიკეტისგან თავის დაღწევა და ამ მიზნით ხორცი შეასხა თავის ერთ-ერთ ყველაზე ექსტრავაგანტურ პროექტს — დეკორატიულ სოფელს.

1783 წელს სახალხო უკმაყოფილების აღმავალ ტალღასთან ერთად დაიწყო Hameau de la Reine-ს მშენებლობა. ხუთი წლის შემდეგ დედოფლის პროექტი დასრულდა. ამ სოფელში იყო მინდორი ტბებითა და მდინარეებით, კლასიკურ სტილში აგებული „სიყვარულის ტაძარი“, რომელიც არომატული ბუჩქებითა და ყვავილებით დაფარულ კუნძულზე მდებარეობდა; ასევე რვაკუთხა ბელვედერი გროტითა და კასკადით.



სოფელი მრავალი კოტეჯისგან და შენობისგან შედგებოდა, რომლებიც სხვადასხვა სტილში იყო აგებული. თითოეულ ნაგებობას თავისი განსაზღვრული ფუნქცია ჰქონდა.

აქ იყო ფერმერების სახლი, რძის ქარხანა, სამტრედე, სათავსო და წისქვილი. თითოეულ შენობას გარს ერტყა ბაღი — ხილის ხეები და ყვავილნარი. ამ სახლებს შორის ყველაზე დიდი და ცნობილი იყო დედოფლის სახლი, რომელიც ხის გალერეით უერთდებოდა ბილიარდის სახლს.

დედოფალი იქ არავის უშვებდა დაახლოებული პირებისა და მეგობრების გარდა. თავად მეფესაც კი არ შეეძლო იქ გაუფრთხილებლად ჩასვლა. ტერიტორიას მიუდგომელი ღობე ერტყა გარს. ამის გამო მარია-ანტუანეტას შესახებ ბევრი ჭორი გავრცელდა, თითქოს ის რეზიდენციას მამაკაცებთან საიდუმლო შეხვედრებისთვის იყენებდა და ორგიებს აწყობდა. ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ეს ყველაფერი გამონაგონი და სიცრუეა, როგორც უმეტესობა იმისა, რასაც ამ ქალის შესახებ ამბობდნენ.

მარია-ანტუანეტა და მისი მეგობრები ისე იცვამდნენ, როგორც ახალგაზრდა მენახირეები ან მწველავები, დადიოდნენ სოფელში და გლეხებივით იქცეოდნენ. ნამდვილი ფერმერები კი, რომლებიც დედოფალს ჰყავდა დაქირავებნული, ფერმას და ცხოველებს უვლიდნენ. ფერმაში მოყვანილი ხილი და ბოსტნეული სამეფო კარზე გამოიყენებოდა.

მარია-ანტუანეტა ზოგჯერ თავადაც წველიდა ძროხებს და ცხვრებს, რათა სოფლის ცხოვრების ნამდვილი გემო შეეგრძნო. დედოფალი ძალიან ამაყობდა თავისი ქმნილებით.

ის პატიჟებდა მეფეს და მთელ სამეფო ოჯახს წვეულებებზე ბაღში, სადაც თვითონ უსხამდა მათ ყავას, უმასპინძლდებოდა კენკრით, თავს იწონებდა ნაღების ცხიმიანობითა და იმით, რომ კვერცხი სულ ახალი იყო; ასევე, ყოველნაირად ცდილობდა, მათთვის ეჩვენებინა, როგორ კარგად უძღვებოდა მეურნეობას.

მიუხედავად იმისა, რომ ხარჯები მნიშვნელოვნად შეამცირა და თავი მთლიანად ოჯახს მიუძღვნა, ხალხში მისი რეპუტაცია ძალიან იყო შელახული. საფრანგეთის რევოლუციის დაწყების შემდეგ მარია-ანტუანეტა დააპატიმრეს და ხალხის ფულის ხარჯვაში დაადანაშაულეს, რამაც თითქოსდა შიმშილობა გამოიწვია, ასევე ბრალად დასდეს სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა. მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.

დედოფალი სულ 37 წლის იყო, როცა ის ციხეში ჩასვეს. სასჯელის აღსრულების დროს ის ძალიან ღირსეულად იქცეოდა.

დედოფალ მარია-ანტუანეტას გილიოტინაზე თავი მოჰკვეთეს 1793 წლის 16 ოქტომბერს. ასე გარდაიცვალა საფრანგეთის უკანასკნელი დედოფალი.

Hameau de la Reine-ის დიდი ნაწილი დღეისათვის ისევ არსებობს. სოფლის ზოგიერთი ნაწილი რევოლუციის დროს დაანგრიეს, ზოგი კი დრომ დააზიანა. სოფელს 1990-იან წლებში ჩაუტარდა რესტავრაცია და დღეისათვის მნახველებისთვის ღიაა.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ
შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001